h 43

ცეცხლი

6

1930



ტ ფ ი ლ ი ს ი

მაისობა ქუთაისში. რემედასელები დემონსტრაციაზე.

პოლიტ-ემიგრანტების აღრიცხვა

რემედასის საქ. ც. კ. თანახმად რემედასის აღმასკომის ლეგიმიტაციონურ კომისიის დადგენილებისა წინადადებას აძლევს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებ ყველა პოლიტ-ემიგრანტებს დღეიდან ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ რემედასის ადგილობრივ საოლქო, სამაზრო, ან რაიონულ კომიტეტებში აღრიცხვაში გასატარებლად.

აღრიცხვაში უნდა გატარდენ საქ. რესპუბლიკაში ჩამოსული ყველა ემიგრანტები 1922 წ. რომლებსაც გააჩნიათ ინსტრუქციაში აღნიშნული მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საბუთები.

აღრიცხვის შესახებ მითითებები დაეგზავნა რემედასის ყველა ადგილობრივ კომიტეტებს, სადაც უნდა მიმართონ ყოველგვარი ცნობებისათვის განცხადების შესატანად და ანკეტის შესავსებად.

რემდასის საქ. ცენტრ. კომიტეტი.

გაფიცვა

უკვე შვიდი საათია. მანქანები გაშვებულია. სამუშაო დღე დაიწყო. დაზგიდან-დაზგაზე გადადის ერთიდაიგივე შეკითხვები: როგორ უნდა გადავიხადოთ დავალიანება მეფუნთუშესთან, ან საწვრილმალო დუქანში? ვინ გვენდობა კიდევ ვალად? ვინ რას მოგვცემს?

გამოჩდა ზედამხედველი (ქარხნის პატრონის ერთგული ქოფაკი), ის ცდილობს დაამშვიდოს მუშები, მაგრამ აღელვება მაინც მატულობს.

ორ-საათზე უკვე გამოირკვა, რომ დღეს ხელფასის დარიგება აღარ იქნება, მაგრამ პარტიულ უჯრედს არ ეძინა. სახელოსნოებსა და საამქროებში მუშები სწყვეტენ მუშაობას. ჩემს საამქროში ერთი არ მეთანხმება მანქანის გაჩერებაზე... ვემუქრებით... ვარწმუნებთ მას... ისიც სტოვებს სამუშაოს. ეზოში გამოვდივართ.

ალაყაფის კარებთან ვხვდებით ახალგაზრდა კაცს, რომელიც თანაუგრძნობს პარტიას. ის ამბობს: გაფიცულები თავიანთ სახლებში წავიდენ, მაგრამ დილის 6 საათსა და 30 წუთზე ყველანი თავს მოიყრიან ქარხნის შესავალ კარებთან... უკეთესი იქნება 5 საათზე შევგროვდეთ, ვინაიდან შესაძლოა შტრეიკბეხერებმა 6 საათზე მოინდომონ ქარხანაში შესვლა.

სწორია. ცნობას ვაძლევთ მელითონეთა სინდიკატის მდივანს და დამსწრე ამხანაგებს: ქარხანა № 1 ფეხზე დადგა, სულ 1800 მუშაა.

საღამოს $7^1/_2$ საათზე, მოდიან პარტიული ამხანაგები ქარხანა № 2-დან, ისინი ამბობენ: ადმინისტრაციამ განცხადება გამოაკრა და იტყობინება: ხვალ ხელფასი დაურიგდება იმათ, ვინც მონაწილეობას არ ღებულობს გაფიცვებშიო.

დილის 5-საათსა და 15 წუთზე მე უკვე ქარხნის კარებთან ვარ. ჩემთან ერთად არის ორმოციოოე ამხანაგი. აქვე არიან პოლიციელებიც. ამ ვაჟბატონებს არ ცივათ, ისინი კარგათ არიან ჩაცმულნი და დაგვცინიან ჩვენ. 5 საათსა და 45 წუთზე გამოჩნდენ შტრეიკბეხერები. ჩვენ მივმართავთ მათ, ვარწმუნებთ მუქარით, მაგრამ პოლიციელები გარს ერტყმიან მათ და ეხმარებიან ქარხანაში შესვლის დროს. საქმე უჩხუბრად მოგვარდა.

6 საათსა და 30 წუთზე მუშები უკვე შეკრებილნი არიან. მელითონეთა რევოლიუციონურ პროფკავშირის მდივანი მიმართავს მათ სიტყვით. ყველანი ერთხმად მოითხოვენ ადმინისტრაციასთან შეურიგებელ ბრძოლას. ფარული პოლიციის პროვაკატორები დაძრწიან ჩვენს შორის. ისინი ცდილობენ მდივნის დაპატიმრებას, მაგრამ მუშები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ. დაატრიალეს მუშტი-კრივი. პოლიცია იძულებული გახდა დაეთმო და ჩვენ ყველანი გავემართეთ შრომის ბირჟისაკენ. გზადაგზა გუგუნებს რევოლიუციონური სიმღერა. პოლიციელები თან მოგვსდევენ.

შრომის ბირჟასთან გაფიცულები ირჩევენ დელეგაციას ბირჟის ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად და მოთხოვნილებათა წარსადგენათ. დელეგაცია ბრუნდება ორი საათის შემდეგ. ადმინისტრაციამ უარი განაცხადა დელეგაციასთან მოლაპარაკების შესახებ.

დირექტორის გაიძვერობა იწვევს საერთო აღელვებას. გაფიცულები აგროვებენ შემოწირულებას გაფიცვის გასაგრძელებლად № 1-ლ და 2-ე ქარხანაში ნაშუადღევის 1 საათიდან ქარხნის ალაყაფის კარებთან გროვდებიან პოლიციელები; ისინი ცდილობენ გარეკონ აგიტატორები. მუშათა გარეუბნის მცხოვრებლებმა კარგათ იციან ამ გაფიცვის მიზეზები. მოსახლეობა იბრძვის პოლიციის წინააღმდეგ და მხარში უდგას გაფიცულ მუშებს. ხდება შეტაკება. დიასახლისი ქალები დასცინიან და შეურაცყოფას აყენებენ პოლიციელებს.

გაფიცულთა რაოდენობა თან-და-თან მატულობს. ჩვენ მოგვემატა კიდევ 400—კაცი.

დაახლოვებით 3 საათზე .დელეგაცია ხელმეორეთ მიდის ადმინისტრაციასთან. დირექტორი მოლბა. ის ეხლა მიდის დათმობაზე. თანხმდება მოხდეს გადასინჯვა რამდენიმე საამქროში და ღამის სამუშაოებისათვის ჯილდოს გაცემაზე. პირობას იძლევა ხელფასი მისცეს ცოლშვილიანებს პირველ რიგში.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს მიღწევები უმნიშვნელოა და არაფერს დიდს არ წარმოადგენს, ის მაინც უნდა ჩაითვალოს ჩვენი შეუპოვარი ბრძოლის შედეგად და ჩვენს მიღწევად. მუშები დარწმუნდენ, რომ ხსნა და გამარჯვება მხოლოდ ერთობაშია, ამიტომ ისინი ასობით და ათასობით შემოდიან მელითონეთა რევოლიუციონურ პროფკავშირში

მუშა: **რიგიერ.**

ეთ(ლ)(ლ)
443.

ყოველთვიური მეშვიდე

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

ივნისი 1930 № 6

რედაქციის მისამართი: ტფილისი კომინტერნის ქ. № 5, მეორე სართული ტელ. 17-42.

შინაარსი

1. გაფიცვა — მუშა: რივიერი. 2. რემადასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტის საორგანიზაციო თათბირის შედეგები — დ. ნასარიძე. ღირსეულად შევასრულოთ სოციალისტური შეჯიბრება სომხეთთან — რემედასის საქ. ც. კ. 3. ინდოეთს (ლექსი) გ. ქუჩიშვილი. 4. რევოლიუციის შეიარაღებული ძალები — ვ—კო. 5. ბრძოლა საბჭოთა ჩინეთისათვის — საო—ბან. 6. თანამედროვე ჩინეთი — ლი. 7. იზვედინი — პოლიტპატიმარი. 8. ინდოეთში ბრძოლა ღრმავდება — ვ. ლ—ძე 9. რეზოლიუციები მიღებული ქ. ტფილისის გარეუბნის რემედასის რაიკომის პირველ კონფერენციაზე. 10. რემედასის აქტივის თათბირი — ვ. ბზიკასე. 11. სახელგამის სტამბის რემედასის უჯრედი — შალვა ესებუა 12. გავაძლიეროთ მასების ინტერნაციონალურად აღზრდა — ვ. ლეჟავა. 13. რემედასის უჯრედი — ველიჩკო. 14. ნაყოფიერად ვმუშაობთ — შალვა გაბედავა. 15 რემედასის უჯრედი სუსტად მუშაობს — სამტრედიელი. 16. რემედასის უჯრედი — ტ. ესიტაშვილი. 17. ნაყოფიერად ვმუშაობთ — მ. კალანდაძე. 18. მუშაობა გამოვაცოცხლეთ — ვლ. კვიტატიანი.

რედაქციისაგან

რემედასის ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონული კომიტეტები ვალდებულნი არიან გამოარკვიონ ჟურნალ „რემედას"-ის ხელისმომწერთა რაოდენობა და სრული ცნობები წარმოადგინონ რემედასის საქ. ცეკას გამომცემლობაში ყოველი თვის 15-დე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალს ვერ მიიღებენ ხელისმომწერლები.

ჟურნალ „რემედას"-ის რედაქცია.

რემედასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტის საორგანიზაციო თათბირის შედეგები*)

ჩვენი ჟურნალის მეხუთე ნომერში მოთავსებულ წერილში ჩვენ წამოვაყენეთ მთელი რიგი ორგანიზაციული და უაღრესად პრაქტიკული საკითხები, რომელთაც უნდა შეხებოდა რემედასის საკავშირო საორგანიზაციო თათბირი.

საბჭოთა კავშირში რემედასის დაარსებიდან (1923 წ.) დღემდე ეს იყო პირველი საორგანიზაციო თათბირი, რომელმაც ოთხი დღის განმავლობაში**) ჩაატარა მეტად ნაყოფიერი მუშაობა. წარმოდგენილი იყო 50 ორგანიზაცია 80-დე დელეგატით.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება რემედასის ორგანიზაციული მუშაობის ახალი ფორმებისა და მთელების შესახებ.

2. თანამოხსენება, სოფლად სოციალისტურ სექტორში რემედასის მუშაობის შესახებ.

3. ხელმძღვანელი კადრების განაწილება და მათი აღრიცხვა.

4. რემედასის ორგანიზაციების ზრდა და მათი პერსპექტივები.

5. ინფორმაციისა და სტატისტიკური მუშაობის დაყენების შესახებ. პირველ სამ საკითხზე ერთად იქნა გაკეთებული მოხსენებები, რამაც თათბირზე გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელიც ორი

*) თათბირის შედეგების შესახებ დამუშავებული მასალები უახლოეს ხანში დაეგზავნება ადგილებს.

**) თათბირი გაიხსნა ქ. მოსკოვში მიმდ. წლის 4 ივნისს და დასრულდა ივნისის 7.

დ. 5.

დღე კაგრძელდა, გამოტანილი დადგენილებები მდგომარეობს შემდეგში: რემედასის ორგანიზაციების ძირითადი საფუძველათ მიჩნეულია საამქრო უჯრედები, განყოფილებებსა და აგრეგატებში ჯგუფური ორგანიზატორები, შემდეგ საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტი. ამ კომიტეტებთან ეწყობა სექტორები საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების განსაზღვრით, მაგალითად: საორგანიზაციო და საინსტრუქციო, საზღვარგარეთის საპყრობილეებზე საშეფო, მასიური და ბეჭედითი, კადრების მომზადების, აღრიცხვისა და ინფორმაციის, სოც-ბშენებლობის და სხვა. შემდეგ საბაზო, ან ჯგუფური განაერთები, რაიკომები, ოლქკომები რესპუბლიკანური და მხარეთა კომიტეტები.

აი, ის სქემა რემედასის ორგანიზაციული სტრუქტურისა მომავალში, რომლის მიხედვით უნდა გადაკეთდეს ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა, თათბირის დადგენილებების მიხედვით. აქ უნდა აღინიშნოს სამი მომენტი, რაც მეტათ საინტერესოა თვითკრიტიკისა და შეფასების თვალსაზრისით. პირველი: საკავშირო რემედასის ცეკას მიერ წამოყენებული ფორმა თათბირზე დაუპირისპირდა რემედასის ლენინგრადის ორგანიზაციის წინადადებას, რომლის მიხედვით აღნიშნულ ორგანიზაციულ ფორმას უნდა დამატებოდა საამქრო უჯრედების ქვემდგომი, კიდევ ერთი საფეხური „რგოლების უჯრედები", თათბირმა ეს წინადადება უარყო. მეორე: ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციამ მოითხოვა საოლქო კომიტეტების გაუქმება, რაც მათ უკვე თათბირამდე ჩაეტარებინათ ოლქში და თათბირამდე რემედასის საკავშირო ცეკამ თავის დადგენილებით და აგრეთვე თვით თათბირმა უარყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციას საოლქო კომიტეტების გაუქმების საკითხში ეთანხმებოდენ სამხრეთ—აღმოსავლეთითის, შუა-აზიისრემედასის ორგანიზაციების დელეგატებიც. მესამე, საყურადღებო მომენტი მდგომარეობდა მასში, რომ ზ-გიერთ დელეგატები (ჩრდილოეთ კავკასიის და ქვედა—ვოლგის) მოითხოვდენ რემედასის კომიტეტებში თავმჯდომარეების ინსტიტუტების გაუქმებას და პასუხის მგებელ მდივნებზე მთელი ფუნქციების გადაცემას. თათბირმა ეს წინადადებაც უარყო ხმის დიდი უმრავლესობით.

ცეკას მიერ წამოყენებულ თეზისებს საბაზო კომიტეტების ჩამოყალიბება, რაც ეყრდნობა ტერიტორიალურ პრინციპს. საბაზო კომიტეტებში უნდა გაერთიანდეს რამოდენიმე რემედასის უჯრედები. საბაზო კომიტეტების სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი უჯრედი იქნება გაერთიანებული საბაზო კომიტეტში, მათი ერთი მეორეზე სიახლოვისა, თუ საშორის გამო. თათბირზე ჩვენ წამოვაყენეთ საბაზო კომიტეტებთან ერთად ბიურო—კოლექტივების სისტემის შემოღებაც, მაგრამ ეს წინადადება თათბირმა უარყო.

ძმთავრესი აზრი, ამ საყურადღებო დადგენილებებისა მდგომარეობს მასში, რომ თანახმად მსხვილი ინდუსტრიის განვითარებული ტემპისა, რაშიაც ორგანიზაციულად ჩაბმულია მუშათა კლასის ფართე მასები იმ ახალ ფორმებისა და მეთოდების ფართედ გაშლის საფუძველზე, როგორიცაა: დამკვრელი ბრიგადები, სოციალისტური შეჯიბრებები, შრომის ნაყოფიერების ზრდა, თვითღირებულების დაკლება, შრომის დისციპლინის დაცვა, სოფლის მეურნეობის კოლექტივებზე გადაყვანა, საშეფო მუშაობის გაშლა, მასების ინტერნაციონალურად აღზრდა, შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, სამრეწველო-ფინგეგმების—ხუთწლედის 4 წელში შესრულება და მთელი რიგი სხვა პრობლემების გადაჭრა საწარმოო ხუთდღიურზე გადასვლა და სხვ. მოითხოვენ დღესვე კადრების მომზადებას, მათი დაწინაურებისა და აღრიცხვის პრობლემის დაჩქარების გადაჭრას.

თათბირის მიერ, ზემოაღნიშნული სამი მოხსენება მათ გარშემო გამართულ—გაცხოველებულ კამათში, სავსებით ამოიწურა იმ რეზოლიუციის სახით, რაც თათრმა დეტალურად განიხილა, ხოლო შემდეგ კი—თათბირის პლენუმა სათანადო შესწორებებით დაამტკიცა.

რაც შეეხება სოფლად კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობათა ორგანიზაციულ ფორმებს, აქაც საფუძველათ ედება იგივე საწარმოო პრინციპი, რაც მსხვილი ინდუსტრიის საწარმოოთა დარგში. განსაკუთრებით საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა გიგანტებში და კომუნებში იგივე საწარმოო პრინციპია გატარებული, რაც ფაბრიკა-ქარხნებში უჯრედების მოსაწყობად, იმ სპეციფიურ განსხვავებათა მიხედვით, რასაც საერთოდ სოფლის მეურნეობა იძლევა.

საიდან იწყება სოფლად რემედასის ორგანიზაციის საფუძველი სოციალისტურ სექტორში? დიდ კოლექტივებში და საბჭოთა მეურნეობებში მთლიანი კოლექტივიზაციის რაონებში პირველი საფეხურია საამქრო უჯრედი, შემდეგ კი საერთო კოლ. და საბჭოთა მეურნეობათა კომიტეტები, ხოლო მცირე რიცხოვან, პატარა განაერთებში კი, ეწყობა უჯრედების ჯგუფური, ან საბაზო კომიტეტები, რომლებიც ეწყობიან სოფლის საბჭოებისა და სასკოლო ქსელის ახლო უბნებში ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და საჭირო ძალების მიწოდების გაადვილების მიზნით, ხოლო შემდეგ კი, რაიონის კომიტეტებია ერთად-ერთი აუცილებლათ საჭირო ორგანიზაციული ფორმა, რომლებმაც სრული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალისა და რონოდის შემკეთებელ ქარხნის, საბ.-სარ. საამქროს მუშათა ერთი ჯგუფი: სურათზე: 1. ამხ. დ. გამრეკელაშვილი, 2. გ. იაკობიძე, 3. გ. ინდუაშვილი, 4. გ. ფულიევი, 5. ა. ჭიჭინაძე და 6. ბ. ლერნნერ. აღნიშნულმა ჯგუფმა ერთდროული დახმარების სახით რემედასს შემოსწირა 30 მანეთი.



საპირველმაისო დემონსტრაცია ქ. ქუთაისის ქუჩებში. რემედასის ავტო საპყრობილე

დიდ კოლმეურნეობათა, საბჭოთა და საბაზო კომიტეტებს ერთის მხრით, ხოლო ინდივიდუალური მეურნეობის სექტორში კი სასოფლო უჯრედებს.

რაიონის კომიტეტების უშუალო ხელმძღვანელობასთან ერთად ინდივიდუალურ სექტორში მოწყობილ უჯრედებს უნდა უხელმძღვანელონ აგრეთვე საბაზო, საბჭოთა და კოლმეურნეობების კომიტეტებმაც, დიდ კომუნებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობის ზოგიერთ გიგანტებში უჯრედებს შეიძლება უშუალოთ უხელმძღვანელონ რემედასის საოლქო კომიტეტებმა.

თათბირზე გამოსული ზოგიერთი ამხანაგები, მოითხოვდენ სოფლად რაიონის კომიტეტების გაუქმებას და მხოლოდ დიდ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებზე, საბაზო კომიტეტებზე, ოლქიდან უშუალოდ დაყრდნობას და ხელმძღვანელობას. ისინი ამასთან ერთად მოითხოვდენ, რომ თუ რომელიმე სოფლის ერთი ნაწილი კოლექტივში გაერთიანებულია, ხოლო მეორეში კი არა, ამ შემთგვევაში რემედასის უჯრედები დაარსდეს მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურ სექტორში და არა ინდივიდუალურში, რაც თათბირმა ხმის დიდი უმრავლესობით უარყო.

აი, იმ ორგანიზაციული სტრუქტურ ს ახალი ფორმები ქალაქად და სოფლად, რაც თათბირმა გადასწყვიტა და რაც ჩვენის აზრით სრულიად შეთანხმებულია იმ ამოცანებთან, რასაც ილებს ჩვენ გვიყენებს ქალაქად და სოფლად მსხვილი ინდუსტრიის განვითარების მაღალი და გაძლიერებული ტემპი; ეს კი მოითხოვს რემედასის ორგანიზაციების ძველი ფორმების სრულიად უარყოფას და ახალ ფორმებზე გადასვლას. ეს მოგვცემს ჩვენ ფართო მასებთან უკეთ დაკავშირებისა და ამოძრავების საშვალებას, რაც დღემდე ჩვენ არა გვქონია.

სწორეთ ასეთი მეთოდით და თვალსაზრისით იქნა დეტალურად განხილული და შემდეგ გამოტანილი შესაფერისი დადგენილებები, დღის წესრიგში დასმულ მეოთხე და მეხუთე კითხვებზედ ამ. ამხ. შველიოვისა და ბაბაევის მოხსენებებზე, რაც სრულიად სცვლის ჩვენი მუშაობის ძველ ფორმებს და ვღებულობთ მუშაობისათვის ახალ მეთოდებს მაგალითად რემედასის ორგ ნიზაციების: ზრდის, სტატისტიკის, აღრიცხვის, ინფორმაციისა და ანგარიშების უკეთ მოგვარებისა და მოწესრიგების საქმეში, რომლებშიაც მთელი რიგი რემედასის ორგანიზაციებისა მოიკოჭლებენ ღდემდე და ბრკოლდება საერთოდ ჩვენი მუშაობა, რასაც თათბირმა ჯერ ვანი ყურადღება მიაქცია თავის დადგენილებებში.

რემედ სის საკ. ცეკას მიერ ერთი წლის წინათ იყო გამოტანილი დადგენილება, რათა რემედასის წევრთა რაოდენობა გადიდებულიყო ერთი მილიონით, რაც ავალებდა ზოგიერთ ორგანიზაციას თავის წევრთა შემადგენლობა გაედიდებია ორჯერ იმ პირობით, რომ რემედასის საკავშირო ორგანიზაციის მუშური შემადგენლობა არ უნდა გაუარესებულიყო. დადასტურდა, რომ რემედასის საკავშირო ცეკას ეს დადგენილება, ვერ შეასრულეს ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. პირიქით ზოგი-

უმუშევართა საპირველმაისო დემონსტრაცია ლონდონში (ინგლისი

ერთ ორგანიზაციებს მუშური შემადგენლობის გაუარესება გამოუვიდა რიცხობრივ ზრდასთან. საკავშირო რემედასის რიგებში დღეს ითვლება 4,015,096 წევრი. მუშები 36 პროც. გლეხები 18 პროც. წითელი არმიელები 6,9 პროც მოსამსახურენი 24 პროც, მოწაფეობა 10 პროც. დიასახლისები, ხელოსნები და სხვა 3,9 პროც. დედაკაცები 25,6 კომუნისტები 16 პროც. კომკავშირლები 13,9 პროც. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ კავშირში, როგორც საერთო ზრდის ტემპი და მუშური შემადგენლობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, აგრეთვე მეტის მეტათ მოისუსტებს აღრიცხვისა და სტატისტიკის მოგვარების საქმე. რასაც თათბირმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება.

ყველა აღნიშნულ საკითხებზე გამოტანილი რეზოლიუციები გამოვა ცალკე წიგნაკათ—თათბირის მოთხოვნილების თანახმად და ამ ახლო ხანში, ი. ე. არა უგვიანეს ამ თვის დამლევისა უნდა მიიღოს სახელმძღვანელოთ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რის ცხოვრებაში გატარებას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. ამიტომ საყურადღებოთ მიგვაჩნია ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას დავუმატოთ ის, რომ საკავშირო რემედასის საორგანიზაციო თათბირის 1930 წლის, აგრეთვე სააგიტაციო თათბირის (1929 წ. დეკემბერი) დადგენილებათა უკეთ დამუშავებისა და გატარებისათვის კაზაკსტანის რემედასის ორგანიზაციის დელეგაციამ გამოიწვია სოც-შეჯიბრებაში ამ სტრიქონების დამწერის სახით საქართველოს რემედასის ორგანიზაცია მთელ რიგ სხვა ეროვნულ ორგანიზაციებთან ერთად, რაც ჩვენ გვაკისრებს უდიდეს მოვალეობებს; რათა გაათკეჯებული ენერგიით ჩვენი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ გადავიდენ ახალ ფორმებზე და გააჩაღონ კულტურულ-განმანათლებელი, მასიურ-ინტერნაციონალური, აღმზრდელობითი მუშაობა ამ დადგენილებაგენილებათა საფუძველების მიხედვით, რაც აღნიშნულ ორ თათბირზე არის გამოტანილი.

ამასთან ერთად თათბირმა ერთხელ კიდევ მიუთითა ადგილობრივ ორგანიზაციებს რემედასის ცეკას 1929 წ. 4-ხე პლენუმის დადგენილების თანახმად ყოველგვარი შეშოსავლიდან 10 პროც. კულტფონდის გაძლიერებისათვის იქნეს გამოყენებული. ეს თანხები უნდა გროვდებოდეს საოლქო კომიტეტების განკარგულებაში, რომლის რაციონალურად გამოყენებისათვის პასუხისმგებელი არიან საოლქო კომიტეტები რესპუსლიკანურ და მხარათა კომიტეტების წინაშე.

თათბირმა ცალკე დადგენილებით დაავალა საკავშირო რემედასის ცეკას განიხილოს საკითხი რემედასის ორგანიზაციებში მომუშავეებისათვის ხელფასის მომატების შესახებ.

აი, ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, რასაც საკავშირო რემედასის საორგანიზაციო თათბირი შეეხო და გამოიტანა შესაფერისი დადგენილებები.

აქვე უნდა მოვაგონოთ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ რემედასის სომხეთისა და საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთა შორის დადგმული სოცშეჯიბრის ხელშეკრულება, რომლის ასლი დაეგზავნა ადგილებს ჩვენგან ითხოვს უდიდესი ენერგიის გამოჩენას. რათა შეჯიბრის ხელშეკრულებაში აღნიშნული ყველა მუხლები სრული ასი პროცენტით იქნეს შესრულებული ჩვენს მიერ

შეჯიბრების შედეგების შემოწმება ორივე რესპუბლიკებისა და დაინტერესებული ორგანოებს წარმომადგენელთა დასწრებით მოხდება მიმდ. წლის აგვისტო-დეკემბერში. ამ დროისათვის უნდა ავამოძრაოთ მთელი ჩვენი შესაძლებელობანი და ღირსეულად შევასრულოთ დაკისრებული ამოცანები.

დ. ნასარიძე

ღირსეულად შევასრულოთ სოციალისტური შეჯიბრება სომხეთთან

როგორც უკვე იციან ჩვენმა კომიტეტებმა რემედასის საქართველოსა და სომხეთის ორგანიზაციათა შორის ორივე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტების საშუალებით მიმდინარე წლის აპრილის პირველიდან დადებულია სოციალისტური ხელშეკრულება, რომლის შედეგების საბოლოო გამოკვლევა უნდა მოხდეს 1930 წ. დეკემბრის 31.

ამ ხელშეკრულებას მიზნათ აქვს გააუმჯობესოს აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი ინტერნაციონალურ-პროლეტარულ ერთსულოვნების საფუძველზე, რევოლიუციისათვის მებრძოლთა მატერიალურ და მორალურ დახმარების აღმოსაჩენად, რემედასის ორგანიზაციების მიერ მონაწილეობის მიღებით ორთავე რესპუბლიკების სოციალისტურ აღმშენებლობაში.

კონკრეტიულად ორივე რესპუბლიკის მუშაობა უნდა გამოიხატოს შემდეგში:

1. ყოველმხრივად გაძლიერება რემედასის წევრთა რაოდენობის. სომხეთის რესპუბლიკაში რემედასის წევრთა რაოდენობა 59·000-დან აყვანილ იქნეს 118.000. საქართველოში კი – 90.000-დან 150.000.

2. საბარათო სისტემით წევრთა აღრიცხვაზე გადასვლა დამთავრდეს 1930 წ. 1 ივლისისათვის.

3. რემედასის ხაზით სახელმძღვანელო მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნეს რემედასის წევრები, უპარტიო და

განსაკუთრებით მუშა-მოჯამაგირეების და ღარიბთა ფენებიდან მათი რაოდენობის 50 პროც. აყვანით ხელმძღვანელ ორგანოების შემადგენლობაში.

4. აუცილებელი ლონისძიებათა მიღება კომიტეტებთან მომუშავე აქტივის გასაფართოებლად. ამ შემთხვევაში კონკრეტიული ამოცანად მიჩნეულ იქნეს ყველა კომიტეტთან ნებაყოფლობითი ინსტრუქტორთა კადრების ჩამოყალიბება, არა ნაკლები 10 წევრის რაოდენობით.

5. ჩატარდეს სპეციალური კამპანია ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის კომიტეტებთან ერთად კომკავშირლების 100 პროც. ჩასაბმელად რემედასში.

6. მაქსიმალურად ჩაბმული იქნან დელეგატი ქალები რემედასის მუშაობაში.

7. ქალაქ ტფილისის და ერევნის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ სახლებში მცხოვრებ ჩამოუყალიბებელ მოსახლეობის 50 პროც. ჩაბმა რემედასის მუშაობაში.

8. რემედასის ორგანიზაციების ჩამოყალიბება ყველა კოლმეურნეობებში.

9. უფრო მეტი ლონისძიებათა მიღება ვიდრე დღემდის იყო რემედასის უჯრედებში წრეების ქსელის და კურსების საოლქო. სამაზრო და სარაიონო კომიტეტებში გასაფართოებლად. ამ შემთხვევაში ორივე რესპუბლიკის რემედასის ცენტრ. კომიტეტებისათვის სავალდებულო უნდა იყოს აქტივთა კურსების მოწყობა რემედასის ყველა კომიტეტში.

10. მოწყობილი იქნეს სანიმუშო კუთხეები: ერევანში, ლენინაკანში, კარაკლისში, ტფილისში, ბათუმში, ქუთაისში, გურჯაანში, სოხუმში, გორსა და ჭიათურაში, ხოლო ჩვეულებრივი კუთხეები კი, მოეწყოს ყველა უჯრედებში.

11. მიღებულ იქნეს მონაწილეობა პარტიისა და საბჭოთა ხაზით მოწყობილ ყველა დემონსტრაციებში. სისტემატიურად ჰპოვოს გამოხმაურება თეთრი ტერრორის მოძრაობამ რემედასის რიგებში მიტინგების, პროტესტების, დემონსტრაციების, სახსრების შეგროვებისა და სხვ. საშუალებებით.

12. სავსებით შესრულებულ იქნეს ორივე რესპუბლიკის რემედასის ცენტრალურ კომიტეტების საგამომცემლო გეგმა, ყურნ. „**პუტ მოპრას**" ტირაჟის 5000 ც. აყვანით, რემედასის სომხეთის ცეკას მიერ; ყურნალ „**რ ე მ ე დ ა ს ი ს**" კი 7000 რემედასის საქ. ცეკას მიერ.

13. რემედასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტის პერიოდულ გამოცემებზე ხელის მოწერის რაოდენობის გადიდება: „**ს პ უ ტ ნ ი კ მ ო პ რ ო ვ ც ა**" 150 ც. (სომხეთი) 500 ც. (საქართველო). „**პ უ ტ-მ ო პ რ ა**" 1000 ც. (სომხეთი) 3000 ც. (საქართველო).

14. რემედასის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული განაკვეთის შესრულება.

15. ინკასაციაზე გადასვლა დამთავრდეს 1930 წ. პირველ ივლისისათვის.

16. ეს ხელშეკრულება იწერება ხუთ ცალად და ძალაში რჩება მიმდინარე წლის აპრილის პირველიდან დეკემბრის 31-მდე.

ხელშეკრულების შესრულების გასინჯვა ხდება ორჯერ 1930 წ. აგვისტოსა და დეკემბერში. გადასინჯვას ესწრებიან: პარტიის, კომკავშირისა და პროფკავშირის ორგანიზაციების წარმომადგენელები.

ერთი ცალი ხელშეკრულებისა ეგზავნება რემედასის საკავშირო ცენტრ. კომიტეტს. თითო ცალი სომხეთის და საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტებს, ხოლო თითო ცალს იტოვებენ რემედასის სომხეთის და საქართველოს ცენტრ. კომიტეტები.

ხელშეკრულებას ხელს აწერენ:

რემედასის სომხეთის ც. კ.-ის პრეზიდიუმი 7 წევრის შემადგენლობით. ხოლო რემედასის საქ. ც. კ. პრეზიდიუმი 6 წევრის შემადგენლობით.

როგორც ვხედავთ ეს ხელშეკრულება მეტად დიდ ამოცანებს აყენებს საქართველოს ორგანიზაციების წინაშე, ამიტომ ჩვენ უნდა შევსძლოთ შემოვიკრიბოთ რემედასის ორგანიზაციების ირგვლივ არა მარტო რემედასის წევრთა მასა, არამედ მთელი მშრომელი მოსახლეობა, რათა პირნათლად შევასრულოთ ის ამოცანები, რომლებსაც ჩვენ ვაყენებთ დღეს.

ამ ხელშეკრულების შესრულება იქნება პირველი გადამწყვეტი გამოცდა ჩვენი ორგანიზაციების რესპუბლიკანური მაშტაბით და ამიტომ რემედასის საქ. ცეკა დარწმუნებულია, რომ მასში მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი ქვემდგომი ორგანიზაციები.

რემედასის საქ. ც. კ.

ი ნ დ ო ე თ ს

ძმური სალამი მეამბოხე ყველა ჩაგრულებს,
იარაღასხმულ, შეუპოვარ ქედმაღალ მონებს.
ქებათა-ქება ხალხისათვის თავდადებულებს.
და მათს დანთებულ ულამაზეს ცეცხლის კოცონებს.

გადაგეხვევით ამხანაგურ დიდ სიყვარულით
თქვენ, რაინდებო ინდოეთის თავისუფლების.
თქვენ, რომელთაც რომ ააფეთქეთ რისხვა ფარული
და მონათმფლობელ დიდ ბრიტანეთს ზედ ეხეთქებით.

წინ, ნუ შედრქებით მილიონო შრომის ჯარებო,
დაანთეთ ცეცხლი უფრო დიდი, უფრო ბრწყინვალე.
წინ, ოქტომბრისაკენ ინდოეთის კომუნარებო.
გამარჯვებულებს გადავკოცნით ურთიერთს მალე.

გ. ქუჩი შვილი.

რევოლიუციის შეიარაღებული ძალები

უზარმაზარი ტერიტორია ასმილიონიანი მოსახლეობით იწვის პარტიზანული ბრძოლის ცეცხლში, რომლის წინა პოზიციებზე იბრძვის ჩინეთის მუშურ-გლეხური წითელ არმიის 14 კორპუსი.

ჩინეთის წითელი არმია, როგორც ჩინეთის კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული ძალა დაარსდა 2927 წლის ნოემბერში, როცა კანტონის მახლობლად ხაილუფინში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

მასიურ რევოლიუციონური მოძრაობის გიგანტურმა ტალღამ, რომელიც დაიწყო 1930 წელს და რამაც გაამრავლა გლეხთა პარტიზანული რაზმები, დასვა ამოცანა ერთ მთლიან არმიათ ჩამოყალიბებულიყო რევოლიუციის შეიარაღებული ძალები. ეს მოხდა მიმდინარე წლის აპრილში. ჩინეთის წითელი არმიის სამი კორპუსის ნაცვლად, რაც იყო გასულ წლებში. ამჟამად არის 14 კორპუსი. ისინი იბრძვიან მთელ ტერიტორიაზე, რომელზედაც პარტიზანული ბრძოლა სწარმოებს.

ჩინეთის კომპარტიის ცეკას არალეგალური ორგანოს ცნობით, ჩინეთის წითელ არმიაში ამჟამად ითვლება 60.000 მებრძოლი, რომელთა ორი მესამედი შეიარაღებულია ჩინებულად. ამას გარდა წითელ არმიას აქვს თავისი არტილერია, ტყვია მფრქვეველები და 5 ჰაეროპლანიც კი.

ჩინეთის წითელი არმია თავისთავად წარმოადგენ საგრძნობ მებრძოლ ძალას, მაგრამ ამას გარდა იგი უმთავრესად მით არის ძლიერი, რომ მას თანაუგრძნობენ გლეხთა მასები. ჩინეთის გლეხებმა იციან, რომ წითელი არმია არის მშრომელთა ლაშქარი, რომელიც იბრძვის მემამულეების

ჩინელ პარტიზანელთა რაზმი

ბურჟუების და გენერლების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩინეთის წითელი არმია დაუმარცხებელია, მიუხედავად ნანკინის მთავრობის ყოველგვარი ცდისა.

ჩინეთის წითელ არმიას მჭიდრო კავშირი აქვს მოსახლეობასთან და ეს კავშირი წითელი ზოლივით აკრავს მთელ მის მუშაობას.

ჩინეთის წითელი არმია ყველგან, სადაც კი გაჩნდება, ართმევს მემამულეებს მიწებსა და ბრინჯს და ურიგებს გლეხობას. ეხმარება გლეხებს საბჭოების დაარსებაში, აიარაღებს წითელი გვარდიის გლეხთა რაზმებს, აცხადებს რა 8 საათის სამუშაო დღეს, ადიდებს მოჯამაგირეთა და მუშათა ხელფასს. განსაკუთრებით ღრმად აწარმოებს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ტელეგრაფს თითქმის ყოველ დღე მოაქვს ცნობები ჩინეთის წითელი არმიის ახალ-ახალ გამარჯვებათა შესახებ. იგი ერთი-მეორეზე იჭერს სამაზრო ქალაქებს და მსხვილ სავაჭრო ცენტრებს, რასაც თან სდევს ჯანყებათა დიდი ტალღები.

ჩინეთის წითელი არმია ჩინეთის მშრომელი ხალხის მრავალმილიონიანი მასების მტკიცე დასაყრდენი მის ბრძოლაში, უსათუოდ წარმოადგენს ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

3—კო.

ბრძოლა საბჭოთა ჩინეთისათვის

ჩინეთში იზრდება საგაფიცვო მოძრაობა. უპირველესად ყოვლისა ეს აიხსნება მუშათა მასების არაჩვეულებრივი გალატაკებით და მეორეს მხრით, ტერორისა და პოლიტიკური უთანასწორობის და აღვირახსნილობის აუტანელი რეჟიმით. მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა უშუალო გავლენა მოახდინა ჩინეთის ეკონომიკაზე. ვერცხლის კურსი ერთი-მესამედით დაეცა ამან დიდი ზიანი მიაყენა ჩინეთის სახალხო მეურნეობას, გამოიწვია წარმოებისა და ვაჭრობის შემცირება, მთელ რიგ წარმოებათა გაკოტრება და უმუშევრობის ზრდა.

მარტო აბრეშუმის ფაბრიკაში არის 100.009 უმუშევარი. მხოლოდ ერთ ქალაქში ჩეენ-ცზოში ითვლება 80.000 უმუშევარი. სიძვირე საზღაპროდ მატულობს.

1928 წელთან შედარებით, ბრინჯის ფასი გაიზარდა 35 პროცენტით. ამიტომ არის, რომ მუშები იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის, ორმოც ადგილას დაარსებულია წითელი პროფკავშირები, რომლებიც არალეგალურად მუშაობენ და აერთიანებენ 60.000 მუშას. ეს წითელი პროფკავშირები მუშაობენ კომპარტიის ხელმძღვანელობით და მეთაურობენ საგაფიცვო ბრძოლას.

როგორია საგაფიცვო ბრძოლის ახალი დამახასიათებელი ნიშნები ჩინეთში?

უმთავრესია ის, რომ მუშათა მასები უფრო და უფრო აქტიურად გამოდიან წითელი არმიისა და პარტიზანული რაზმების დასახმარებლად. ასე მაგალითად, ძინდაოს და გუანდუნის მუშებმა უკვე მოაწყვეს შეიარაღებული დემონსტრაცია გომინდანის ხელისუფლების წინააღმდეგ. ძინდაოს გაფიცულებმა მოინდომეს ფაბრიკების ხელში ჩაგდებაც კი.

როდესაც თამბაქოს ქარხანა დახურეს, მუშებმა ალყა შემოარტყეს ფაბრიკის შენობას და დაარბიეს კანტორა.

5 მარტს შანხაიში ფრანგების კონცესიაში გაიფიცენ თამბაქოს მუშები. მოხდა შეიარაღებული შეტაკება პოლიციელებთან. დაიღვრა სისხლი.

8 მარტს შანხაიში შესდგა დიდი დემონსტრაციები, რომლის დროს მოხდა შეტაკება პოლიციელებთან.

დაშნაის მაღაროელებმა 50.000 კაცის შემადგენლობით გააძევეს გომინდანის და ყვითელი პროფბიუროკრატები და მოაწყვეს თავიანთი წითელ პროფკავშირები. ამ მუშაობას კომპარტია ხელმძღვანელობდა.

ჩინეთის პროლეტარიატი, რომელმაც მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, განვლო კლასობრივი ბრძოლის მკაცრი ეტაპი თავის მძიმე დამარცხებებზე, იყენებენ წარსული ბრძოლის მთელ პრაქტიკულ გამოცდილებას. ჩინეთის პროლეტარიატმა სამი წლის წინათ უკვე დაამტკიცა თავისი ძლიერი ძალა შანხაის ბარიკადებზე და გონკონგის გაფიცვებში.

ჩინეთის პროლეტარიატი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მომავალ რევოლიუციონურ შეჯახებებში უსათუოდ დაამტკიცებს რომ მხოლოდ მას აქვს უნარი და ხელმძღვანელობას გაუწევს ამ გიგანტურ რევოლიუციონურ ბრძოლას საბჭოთა ჩინეთისათვის.

სო—ბან.



პოლიციასთან შეტაკების დროს დაჭრილი გასტონელი მუშები

თანამედროვე ჩინეთი

30—მაისს შესრულდა 5 წელი მას შემდეგ, რაც ინგლისის პოლიციის აგენტებმა ამოჟლიტეს ნანკინ როდის ქუჩაზე (შანხაიში) გამოსული მუშების და სტუდენტების დემონსტრაცია. ამ ხუთი წლის განმავლობაში აშკარა ბრძოლით, პროტესტებით და დემონსტრაციამიტინგებით არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა ჩინეთის მშრომელი მოსახლეობის გმირული ბრძოლა უცხოეთის კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ჩინეთის განსათავისუფლებლად საკუთარი ბურჟუაზიისა და მემამულეების თეთრი ტერორისაგან. ეს ხუთი წელი უმაგალითო სისხლის ღვრებით განირჩევა საერთაშორისო მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში, რომელმაც შეიწირა თუთხმეტი მილიონი ჩინელი.

დღეს, ჩვენ ისევ მოწმენი ვართ ჩინეთის რევოლიუციის გაძლიერება გაღრმავებისა. მუშათა კლასის დასახმარებლათ მტკიცე ფრონტით გამოდის მშრომელი გლეხობა. სხვადასხვა პროვინციებში გლეხთა ჯგუფური გამოსვლების შემდეგ იწყება ჩამოყალიბებული ორგანიზაციულად შეკავტირებული გამოსვლები ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ და საბჭოთა ხელისუფლების დასამკვიდრებლად.

პარტიზანული მოძრაობის მიერ დაპყრობილია დღეს 34 –რაიონი ათ პროვინციაში, რომელიც აერთიანებს 159—მაზრას.

18 რაიონში, რომელიც აერთიანებს 117 მაზრას, გამოცხადებულია საბჭოთა ძალაუფლება.

ამასთანავე ერთად რამდენიმე რაიონში როგორიცაა მაგალითად: სამხრეთში—ხუნანი, პინსიანის რაიონში—ლიუანი, საბჭოები არსებობენ უკვე ორი წელიწადია. რაც შეეხება გუანდუნს, ხაილუფინის რაიონში—ხაიანინის კუნძულზე—საბჭოთა ხელისუფლებამ ნაწილობრივად მარცხი განიცადა. მაგრამ ის მაინც არსებობს კანტონის კომუნის დღიდან (1927 წ. დეკემბერი). საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ გაერთიანებულია 24 მაზრა იზომისის პროვინციაში:—სახელდობრ: ფუზიანი, ხუბეი, გუანდუნი, გვანსიი და სხვა. ხუბეის პროვინციაში აღმოსავლეთით არსებობს საბჭოთა რაიონი, რომელიც აერთიანებს ცხრა მაზრას და რომლის ცენტრად ითვლება ტაიე, სადაც არის თვალსაჩინო პროლეტარული მოსახლეობა სამთო მუშების სახით.

ჩრდილო-აღმოსავლეთით ცზიანისის პროვინციაში საბჭოთა ხელისუფლება გაძოცხადდა ას—ათასიანი გლეხთა მიტინგზე, დასავლეთით—ოცდა—ათი ათასიანი მიტნგზე.

ყველა ამ რაიონებში ქალაქების დიდი უმრავლესობა აჯანყებულ მასების ხელშია. ქალაქების ბურჟუაზია, მემამულეები, მოხელეები, კულაკები და მევახშეები გარბიან დიდ ქალაქებისაკენ, სადაც მთავრობის ერთგულ დამცველების დარჩენილი ნაწილების მფარველობის ქვეშ და ინგლისის იმპერიალიზმის პრესის დახმარებით ნაწილობრივად უშიშარ მდგომარეობაში იმყოფებიან,—„მაგრამ აქაც ისინი შიშით ჰკანკალებენ და მოსალოდნელი უბედურობის გამო გული უსკდებათ („ნორდ ჩაინა ჰერალდ“—ის ცნობა 1930 წლის აპრილის 15—თარიღით).

ცამეტი წლელი სათადარიგო არმია, რომლის რიგებში გაერთიანებულია 62.640 მეომარი, 39.770 ხიშტი, 659 ტყვიამფრქვევით, 300 ზარბაზნით და მცირე რიცხოვანი ავიაციით— იცავს საბჭოთა ოლქებს მტრის შემოსევისაგან. წითელი დროშის, ნამგალისა და ჩაქუჩის ქვეშ ისინი იბრძვიან „მიწისა და ბრიგადის“ დასაცავად. თავისი შემადგენლობით ეს ჯარი ძრავალნაირია. უმთავრესი ნაწილი შესდგება გლეხი – პარტიზანელებისაგან, მილიტარისტების ყოფილი ჯარისკაცებისა და მცირე ნაწილი კი მუშებისაგან.

ყველაზე საუკეთესო საიმედო და გამობრძმედილი ამ ჯარში არის მეოთხე არმია, რომელიც აერთიანებს 10.000 საუკეთესო მეომარს და რომელსაც ხელმძღვანელობენ კომპარტიის ძველი ბელადები ჩუ-დე და მოაცზედუნ. ამ ჯარში იმყოფებიან უხანელი გლეხები, კინსიანელი სამთო მუშები, არმიის ნაწილს შეადგენს აგრეთვე ნანჩანთან აჯანყებულ უხანის გომინდანის გხელთა ნაწილები.

გომინდანის მთავრობის ჯარები ხშირად უარს აცხადებენ წითლების წინააღმდეგ გალაშქრებაზე, ან წინასწარ ამოჟლეტავენ თავიანთ ოფიცრებს და გადადიან მათ მხარზე. ხშირად ასეთი ჯგუფები მთელი თვეობით ეძებენ ისეთ კომუნისტებს, რომლებსაც შესაძლოა ჩაბარდეს ისინი ხელმძღვანელობის გასაწევად. იყო შემთხვევა აგრეთვე, როცა მთელ რიგ რაიონებში აგზავნიდენ წარმომადგენლებს მოსალაპარაკებლად, რათა მიმხრობოდენ საბჭოთა ხელისუფლებას.

გარდა სათადარიგო წითელი არმიის ნაწილებისა, ჩამოყალიბებულია აგრეთვე გლეხთა თავდაცვითი სამხედრო ნაწილები, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ ასეულათას გლეხებს.

ყველგან, საბჭოთა რაიონებში ჩამოყალიბებულია გლეხთა კომიტეტები და კავშირები, რომლებიც აერთიანებენ მილიონიან მასებს. ამრიგათ, ფუძიანის დასავლეთით, ლუიეს მაზრაში ჩამოყალიბებულია გლეხთა კავშირი, რომელიც აერთიანებს 800.000 გლეხს: აღმოსავლეთის მდინარის რაიონში გუანდუნში, რომლის ცენტრათ ითვლება ფუნ—სიენ—ჩამოყალიბებულია ძლიერი რაზმი, რომელიც აერთიანებს 183.600 გლეხს, მათ შორის არის 17.200 ქალი.

ისინი ყველგან ლიკვიდაციას უკეთებენ მემამულეების, მოხელეების და მევახშეების ბატონობას, აპატიმრებენ მათ, ნაწილს ხვრეტენ, დანარჩენებს კი—ასახლებენ ოლქის მასშტაბიდან. კონფისკაციას უკეთებენ მემამულეების მიწებს. ხდება ამ მიწების განაწილება—უმიწა-წყლო გლეხთა შორის. ზოგან ყალიბდება სასოფლო სამეურნეო კოლექტივები ამავე მიწაზე. ზოგიერთ ოლქებში კი—სწარმოებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიური ნაციონალიზაცია.

საბჭოთა ოლქები არ არიან გაერთიანებულნი და ამიტომ იმათ არ შეუძლიათ აწარმოონ ერთი და იგივე საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ზოგიერთ ადგილებში მეტად საგრძნობია კულაკური გავლენა.

საბჭოთა რაიონები არ არიან დაკავშირებულნი პროლეტარულ ცენტრთან და სუსტად არის გატარებული მუშათა დაწინაურება ხელმძღვანელ ორგანოებში.

ჩინეთში საბჭოთა ხელისუფლებას არა ერთხელ მოუხდა შეტაკება უცხოელ იმპერიალიზმთან. ამას ადგილი ჰქონდა გუანსში. სადაც ლუნჩეაუს დაკავების დროს წითელმა ჯარმა პროვინციის საზღვრებიდან გააძევა საფრანგეთის ელჩი თავისი შტატით.

დღეს კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩინეთში სწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და საბჭოთა რაიონების დაახლოება-გაერთიანება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ბრძოლა ახლო მომავალში დამთავრდება ჩინეთის მუშათა კლასისა და გლეხკაცობის გამარჯვებით.

ლი

ი ზ ე დ ი ნ ი

იზედინი წარმოადგენს საშუალო საუკუნეთა ციხე სიმაგრეს. ეს საპყრობილე წარმოადგენს ნამდვილ სამარეს, ბნელ აკალდამას, საიდანაც თავის დაღწევა ძნელია. ამიტომ იყო, რომ მიმდინარე წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში ჩვენ 18 პატიმარი მოგვამზადეს საპყრობილე იზედინში გადასაყვანად. ამ განხრახვის საწინააღმდეგოთ ჩვენ ერთხმად გამოვაცხადეთ პროტესტი და სიმშილობა. საბერძნეთის „ლიბერალურმა“ ხელისუფლებამ გადასწყვიტა ცოცხალი არ გამოუშვას გარეთ ავრინიონის ბარიკადებზე 1929 წ. 10 სექტემბერს მებრძოლი ამხანაგები.

ორი კვირის სიმშილობისა და თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ჩვენ გამოგვიყვანეს საკნებიდან. ჩაგვყარეს გემში და წაგვიყვანეს კუნძულ კრიტზე სადაც აშენებულია საპყრობილე იზედინი, „მუშათა დახმარება“ (თეთრი ტერორის მსხვერპლთა დახმარების ორგანიზ-ცია) ენერგიულად გამოვიდა ჩვენს დასაცავად. ყველგან დემონსტრაციები და კრებები. ქ. პირეს მუშები ჩვენი წაყვანის წინ დაეცენ პოლიციელებს და შეეცადენ ჩვენს დახსნას. აჭ შეტაკების დროს შეიპყრეს რამდენიმე ათეული მუშა.

საპყრობილე იზედინი აშენებულია

ბერძენი კომუნისტები საპყრობილეში

გერმანიის კომპარტია ყოველწლიურად აწყობს ბერლინსა და სხვა მუშათა რაიონებში მუშათა მარქსისტულ კურს-საღამოებს, სადაც იკითხება ლექციები და სწარმოებს პრაქტიკული მეცადინეობა პოლიტიკურ ეკონომიაში, დიალექტიურ მატერიალიზმში, მუშათა მოძრაობასა და სხვ. ეს კურსები უდიდესი პოპულიარობით სარგებლობენ მუშათა წრეებში. მასში მეცადინეობენ კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიოები. სურათზე—ისმენენ ლექციას.

განსაკუთრებული ხასიათის სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის. ის აშენებულია ქ. ხანიადან 12 კილომეტრზე, ზღვის პირად, დაახლოვებით 200 მეტრის სიმაღლეზე. როცა აკვირდები ამ საშინელ შენობის კედლებს, გგონია ის გამოჭრილია ერთ მთლიან, უზარმაზარ ქვის ლოდისაგან. ოსმალეთის მონობისაგან თავის დაღწევის შემდეგ, საბერძნეთის მთავრობამ, ამ სიმაგრეს ირგვლივ შემოავლო ქვის გალავანი, რომლის სიმაღლე უდრას 5 მეტრს, სისქე კი—75 სანტიმეტრს. ამრიგად ეს ციხე-სიმაგრე საპყრობილეთ გადააქციეს.

ჩვენ მივედით იქ ბორკილებში. შემოგვიყვანეს მთავარ შემოსასვლელიდან და გაგვატარეს საშინლად ჩაბნელებულ გვირაბში. სუფთა ჰაერი შემდეგ ჩვენ აქ უეცრად ვიგრძენით საშინელი სივიწროვე და სუნთქვა შეგვეკრა. არავითარი ხმაური და ლაპარაკი არ ატანს მის კედლებს, რომლის სისქე 5 მეტრამდე აღწევს. ვინც აქ მოხვდება მაშინვე იგრძნობს რომ ის სამუდამოთ მოსწყდა გარე სამყაროს.

ხიმაგრის შუა ადგილას გაკეთებულია კიბე, რომლის 50 საფეხური მიდის ძირს, მიწაში, სადაც მოთავსებულნი არიან სისხლის სამართლის დამნაშავეები, კაცის მკვლელი და სხვა. უკანასკნელ ხანებში იზედინის საპყრობილეში აგზავნიან გლეხობასაც, რომლებიც არ იხდიან სახელმწიფო გსდასახადებს და წინააღმდეგობას უწევენ ხელისუფლების წარმომადგენელებს. ცენტრალური საკნების ირგვლივ გაკეთებულია მიწის ქვეშა დილეგები. საკმარისია აქ რამდენიმე კვირის განმავლობაში დარჩენა, რომ დაავათმყოფდეთ სამუდამოთ განუკურნებელი სენით—ჭლექით, ნევრასტენიათა და სხვა.

გარდა ამ ბნელი საკნებისა სიმაგრის სიღრმეში, ძირს არის სპეციალური განყოფილებები.

საერთოდ შემოღებულია უმკაცრესი დისციპლინა. დილიდანვე ყველანი გამოჰყავთ ტანთვარჯიშობაზე, საუზმის შემდეგ იწყება მძიმე სამუშაო სახელესნოებში, სადაც აკეთებენ სავარძლებს და სხვა ყველაფერი ეს თითქოს იყიდება პატიმრების სასარგებლოთ: სინამდვილეში კი 1/10 არ ღებულობენ ისინი. კვირაობით პატიმრები მიჰყავთ ეკლესიაში და ალოცვინებენ.

აი, სად ჩავარდით. მიუხედავათ ამისა, არც ერთი ჩვენთაგანი სულით არ ეცემა. ჩვენ ისევ ჯანმრთელად და მხნედ ვართ, დარწმუნებული იმაში, რომ კლასობრივი ბრძოლის მოედანზე იბრძვიან ჩვენი ძმები.

პოლიტპატიმარი.

ინდოეთში ბრძოლა ღრმავდება

ინდოეთში დღითი-დღე ფართოვდება და ღრმავდება რევოლიუციონური მოძრაობა. ის თანდათან მასიურ ხასიათს ღებულობს. აჯანყება პეშაველში, ჩიტაგონში, ხოვრახის (კალკუტის მახლობლად) რკინის გზის დაკავება, ბრძოლა დეილისთან,—აჯანყება შოლაპურში,—ასეთია დღევანდელი ინდოეთის უდიდესი რევოლიუციონური მოძრაობის ვითარება, რომელმაც დაიპყრო ინდოეთის ყველა პოზიციები.

ნაციონალურმა ბურჟუაზიამ, რომელმაც განდის მეთაურობით გამოაცხადა „მოქალაქეობრივი დაუმორჩილობლობის“ კამპანია და მოუწოდა მასებს არ გაეწიათ წინააღმდეგობა ალადობისათვის და აქტიური ბრძოლისთვის — სასტიკ დამარცხება იგემა. თვით განდიმ საპატიმროში ამოჰყო თავი; როგორც გაზეთები იტყობინებიან ბრიტანეთის მეციხოვნეებს განდი შესაფერისი ლმობიერებით ყავთ საპატიმროში და ყოველმხრივათ ცდილობენ არ შეარყიონ მისი ჯანმრთელობა. მისი პატიმრობის პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე მირუტის საპატიმროში მოქცეულ ამხანაგებისა, რომლებიც საშინელ რეჟიმის ქვეშ იტანჯებიან და სხედან ბნელ საკანში ხელფეხ შებორკილნი.

განდი თავისუფლებაშიაც ისეთივე უწყინარი იყო ბრიტანეთის იმპერიალიზმის მიმართ, როგორც მისი შთამომავალი აბას-ტაიბჯი. თუ კი განდი მოათავსეს ციხეში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბრიტანეთის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ მისი შეპყრობით ის მოახდენდა მასების დემორალიზაციას (გახრწნას), რითაც ისინი ლამობდენ მასების მღელვარე-

ᲡᲤᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐᲡ

რეზოლიუცია

მიღებული ქ. ტფილისის გარეუბნის რემედასის რაიკომის პირველ კონფერენციაზე 1930 წ. 28 მაისს

ქ. ტფილისის გარეუბნის რემედასის პირველმა კონფერენციამ მოისმინა რა, მოხსენება რემედასის საქ. ც. კ. თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ნ ა ს ა რ ი ძ ი ს: საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რემედასის საქ. ც. კ. მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობისა და რემედასის ამოცანების შესახებ, თანამოხსენებები: ამხ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ი ს: რემედასის ორგანიზაციების მთლიან ინკასაციაზე გადაყვანის, წევრთა აღრიცხვისა და სტატისტიკის მოგვარების შესახებ ახალ საბარათო სისტემით და ამხ. ა ბ რ ა მ ი ა ს მოხსენება: სოფლად მუშაობის, პერიოდულ და არა პერიოდულ გამოცემათა საქმის უკეთ დაყენების შესახებ—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მსხვილი ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით--კონფერენცია აღნიშნავს:

1. თანამედროვე მომენტი ხასიათდება კლასობრივი ბრძოლის უაღრესათ გამწვავებით:

ა) მსოფლიო ბურჟუაზია და სოციალფაშისტები ემზადებიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ომის დასაწყებათ;

ბ) ჩქარი ტემპით სწარმოებს მუშათა კლასის, უღარიბეს და საშუალო გლეხთა მილიონიანი მასების გამოფხიზლება და ბრძოლა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ და მათი გამემარცხენება შეუჩერებლად იზრდება;

გ) ამ საფუძველზე შეუჩერებლად იზრდება კომუნისტური პარტიები ყველა ბურჟუაზიულ-ფაშისტურ ქვეყნებში და ღირსეულ ხელმძღვანელობას უწევს მუშათა კლასის და გლეხთა მილიონიან მასებს;

დ) ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში გააფრთებული ბრძოლა სწარმოებს რევოლიუციონურათ განწყობილ მუშათა კლასის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ეწირებიან მუშათა კლასის, ღარიბი და საშუალო გლეხების საუკეთესო შვილები;

ე) საბჭოთა ქვეყანა არის ერთად-ერთი ქვეყანა, სადაც თავისუფლად შეუძლია შეაფარონ თავი ემიგრანტებს და მიიღონ მატერიალური და მოლარული დახმარება;

ვ) დღეს ძალზე იზრდება რემედასის ამოცანები. მან უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა კაპიტალის ტყვეებისადმი ფინანსიური დახმარებით. რემედასმა უნდა გააძლიეროს აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელი, ინტერნაციონალური მუშაობა საშეფო მუშაობის საფუძველზე, საპროტესტო მიტინგების, დემონსტრაციებისა და სხვა საერთაშორისო დღეების გამოყენებით;

ბის დაშოშმინებას, მაგრამ ბრიტანეთის „მუშათა“ მთავრობა სასტიკად მოსტყუვდა. არც „ბელადის“ შეპყრობამ, ჯარების და პოლიციის მოხელეების სასწრაფო მობილიზაციამ არ უშველა მღელვარე მასების დაწყნარებას.

ინდოეთიდან მიღებული ცნობები, რომლებიც გატარებულია სასტიკი ცენზურის ხელში, არ იძლევა საშუალებას წარმოვიდგინოთ ნამდვილი მდგომარეობა მღელვარეპათა განვითარების საქმეში, მაგრამ, ამ არასრული ცნობების მიხედვითაც ცხადია, რომ თანდათან ღრმავდება და ვითარდება რევოლიუციონური სტიქია ინდოეთის ყველა პროფინციებში. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულია არა მარტო მსხვილ სამრეწველო ცენტრების მუშათა კლასი. არამედ ქვეყნის მრავალ მილიონიანი მშრომელი გლეხობაც. ხშირია აჯანყებები ამა, თუ იმ ტომის წარმომადგენელთა შორის. ინდოეთის დღევანდელი რევოლიუციონური მოძრაობა ჩვენ გვაგონებს 1919--1920 წ. წ. მომხდარ ამბებს, რომელმაც უაღრესად შეაშფოთა ბრიტანეთის იმპერიალისტური ლომი და, რომელიც დიდ მსხვერპლად დაუჯდა ინდოეთის მშრომელ მოსახლეობას.

მაგრამ 2930 წელი არ ჰგავს 1920 წელს. ამ ათი წლის განმავლობაში ინდოეთის მუშათა კლასმა რევოლიუციონურ გლეხკაცობასთან ერთად გაიარა სასტიკი კლასობრივი ბრძოლის ქარ-ცეცხლი, კლასობრივი ბრძოლის, შეღლის და შეურიგებლობის ნამდვილი სკოლა, რომლის დროს მან არა ერთხელ მწკავედ იგემა მთელი საშინელება ბრიტანეთ ს--ტირანიის თეთრი ტერორის საშინელი სუსხი. უკანასკნელ წლებში ინდოეთი, როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნები მოიცვა რეოლიუციონურმა ენტუზიაზმა. როგორც ყველა სხვა დანარჩენი ქვეყნებისათვის, ისე ინდოეთისთვისაც მზის მანათობელი ვარსკვლავია საბჭოთა კავშირი, მათ მხნეობას და რევოლიუციოსურ გამბედაობას მატებს ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონური წარსულის მაგალითები, დღევანდელი სოციალისტური აღმშენებლობა და უდიდესი მიღწევები.

ამიტომ ბრიტანეთის დაქირავებული ჯალათებისთვის, რომლებმაც ბოცილთა გვამებით აავსეს ბომბები, პეშაკერი, ჩიტაკონგა, დელის-კალკუტა, შოლაპურა და სხვა ადგილები, არც ისე ადვილია ინდოეთის რევოლიუციონური ქარტეხილის ჩაქრობა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ინდოეთის 325 —მოლიონ მშრომელ მოსახლეობას სოფლად და ქალაქად.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასი რევოლიუციონურ გლეხკაცობასთან ერთად ფხიზელ თვალყურს ადევნებს ინდოეთის რევოლიუციონურ მუშათა კლასის და გლეხკაცობის უდიდეს ენტუზიაზმს, თავგანწირულ ბრძოლას ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომლის დამხობით მას ჰსურს გაანთავისუფლოს თავისი სამშობლო ქვეყნის მრავალმილიონიანი მშრომელი მოსახლეობა უცხოეთის არამკითხე ბატონების ბრჭყალებისაგან.

ვ. ლ—ძე

ზ) მსოფლიო კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზია და სოციალ-გამყიდველები ომისათვის ემზადებიან. ამისათვის საჭიროა რემედასის წევრების მტკიცეთ დარაზმვა მებრძოლ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით.

2. რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის მიერ ჩატარებულ მუშაობას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში; კონფერენცია იწონებს და დამაკმაყოფილებლად სთვლის. აღინიშნოს, როგორც მიღწევა:

ა) რემედასის წევრთა, როგორც რიცხვობრივი, ისე ხარისხობრივ ზრდას. 1930 წ. პირველ იანვრისათვის იყო 106.957 წევრი. მამაკაცები 90.494 კ. დედაკაცები—16.468. ეროვნებით: ქართველები—79.200 კ., რუსები 9.118, სომხები 8.230, მუსულმანები და სხვა 8.728 კ.; კომუნისტები—15.025 კ.—კომკავშირლები—13.318 კ.' უპარტიო 76.726 კ;

ბ) მშრომელ მასაში: მუშათა, მუშა ქალთა, მოჯამაგირეთა, წითელარმიელთა, მოზარდ ახალგაზრდობაში და დასახლისთა რემედასის გავლენის შეუჩერებელი ზრდა რაც გამოიხატება მასების რემედასის რიგებისაკენ ლტოლვასა და მათი დაინტერესებაში რემედასის ამოცანებით და მისი ყოველდღიურ მუშაობით.

გ) კაპიტალის პატიმართა და მათი უმწეოთ დარჩენილ ოჯახის წევრთა დასახმარებლათ მატერიალურ ღონისძიებათა საგრძნობლათ გაძლიერება; მაგალითად 1929 წ. გადაიგზავნა 30.000 მ. ხოლო 1929 წ.—კი 50.000 მანეთი.

დ) მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდა მაგალითად: საშეფო მუშაობის და პოლიტიკურ-კლასობრივ გათვითცნობიერების ზრდა, რასაც მოწმობს საშეფო მუშაობის გამოცოცხლება, მიწერ-მოწერა ურ. თიერთობის დასამყარებლად კაპიტალის ტყვეობაში მყოფ რევოლიუციონერებისა და მათი ოჯახის წევრებთან.

ე) კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ რემედასის სექცია—ორგანიზაციებიდან და ტყვეობაში მყოფ აშხანაგებისაგან ინდივიდუალური და კოლექტიური, წერილების მიღების გაძლიერება. მათი გამოყენება მშრომელ მასებში, როგორც ინტერნაციონალურ ერთსულოვნების საუკეთესო მასალა იმის ნათელსაყოფად, თუ რა პირობებში უხდება რევოლიუციონურ-კლასობრივი ბრძოლის წარმოება საჭლვარგარეთელ მუშათა კლასს და მის მოკავშირეს-მრავალმილიონიან გლეხობას;

ვ) თვალსაჩინო მიღწევები კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის დარგში, როგორიცაა მაგალითად: რემედასელების მავნე ტრადიციულ ზნეჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლა - სხვადასხვა კამპანიებში მონაწილეობით. პირველ მაისის დღესასწაულებში, ანტი-იმპერიალისტური დღე—პირველ აგვისტოს, 18 მარტს, პარიზის კომუნის დღე, 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღეს, რემედასის და მეგობართა დღის, რემედასის ერთიანი დღეების, კომკავშირის რემედასის რიგებში ჩაბმის ორკვირეული და მთელი რიგი სხვა კამპ. რემედასელთა სხვადასხვა წრეებში ჩაბმა და მუშაობის გაცხოველება ქოხსამკითხველეობის, წითელ კუთხეების, მუშათა თეატრების, სახალხო სახლების მუშაობაში შესამჩნევი მონაწილეობა და სხვ.

გ) რემედასის პერიოდულ (ჟურნალ რემედასი) და

ქ. ტფილისის გარეუბნის რემედასის პირველი კონფერენციის დელეგატები

არაპერიოდულ გამოცემათა ხარისხობრივი და რიცხვობრივი ზრდა, როგორც ერთ-ერთი ძლიერი საშუალება მასების პოლიტიკურ-კულტურულ განვითარების საქმეში.

დეფექტების შესახებ

1. მიუხედავათ აღნიშნულ მთელ რიგ მიღწევებისა უნდა აღინიშნოს შემდეგი დეფექტებიც; მაგალითად:

ა) რემედასის წევრთა და ორგანიზაცია-უჯრედების მუშაობის აღრიცვის სათანადოთ მოუწესრიგებლობა;

ბ) ადგილებთან ცოცხალი კავშირის საგრძნობი სისუსტე;

გ) საწევრო ანარიცხების აკრეფის სათანადოთ მოუგვარებლობა. ამ ნიადაგზე თანხების დაგროვება—დაბანდება ადგილებზე. მათი სხვადასხვა, არაპირდაპირი დანიშნულებისათვის ხარჯვა ზოგიერთ რაიონებში. ორგანიზაცია—დაწესებულებებზე გასესხება, მათი დაბრუნების შესახებ სრული უყურადღებობა ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ (გორი, ბორჯომი, ჭიათურა, ახალციხე და სხვ);

დ) მთელ რიგ რაიონებში საშეფო მუშაობის მოუგვარებლობა; ზოგიერთ ორგანიზაციები მიუხედავათ ცეკას მიერ არა ერთხელ მიცემული მითითებებისა—დღემდის არ აქცევენ ყურადღებას მათზე მიმაგრებულ საშეფო ციხეებს. წერილების გადაგზავნის დაგვიანება, ერთდროულ მატერიალურ დახმარების აღმოჩენის სისუსტე, არ იყენებენ საშეფო ციხეებიდან მიღებულ წერილებს წევრთა მასაში ინტერნაციონალური აღმზრდელობის გაძლიერებ-ს მიზნით და სხვა.

2. რემედასის ორგანიზაციებში თვითკრიტიკის ძალზე სუსტად გაშლა, პრესაში სუსტი მონაწილეობა, რემედასის კორესპონდენტთა კადრების ჩამოყალიბება, რემედასის ორგანიზაციების უმოქმედობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და სხვა.

3 სოც-შეჯიბრის სუსტად განვითარება ძირითად ორგანიზაციებში, რემედასის დამკვრელ ბრიგადების და აქტივის ჩამოუყალიბებლობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განვითარების ხელის შესაწყობად სუსტი მონაწილეობა.

4. რემედასის პერიოდულ და არა პერიოდულ გამოცემათა არა საკმაოდ გავრცელება მასაში.

კომპარტიის წევრობისათვის დაპატიმრებული ჩინელი მუშა

5. პოლიტემიგრანტების სრული აღრიცხვის უქონლობა და რემედასის ყოველდღიურ მუშაობაში მათი გამოუყენებლობა.

6. ადგილების მიერ ჩატარებული ორგანიზაციული, სააგიტ. საპროპ. ფინანსიური მუშაობის, მთელ რიგ დავალებათა, ან განრიგებათა შესახებ ცნობების ცენტრში წარმოდგენის დაგვიანება, ხშირად კი, სრული პასიობა ზოგიერთ ორგანიზაციების მხრივ და მეტად მნიშვნელოვან ამოცანებისადმი.

7. ძირითად ორგანიზაციებში არსებულ ზოგიერს. რევიზიო კომისიების სრული უმოქმედობა და უყურადღებობა მიმდინარე მუშაობისადმი.

8. მთელ რიგ ძირითად უჯრედებსა და ორგანიზაციებში აღნიშნოს ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების შემთხვევები, რაც რემედასის მიმდინარე-მუშაობას ხელს უშლის და აბრკოლებს

9. აღნიშნოს როგორც ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება ზოგიერთ პარტიულ-კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობა რემედასის მუშაობაში ადგილობრივად.

10. კონფერენცია აღნიშნავს, რომ რემედასის ქვემოგომი ორგანიზაცია-უჯრედები, მიუხედავათ ნაწილობრივი მიღწევებისა ვერ არიან სრული 100 პროც. ჩაბმული საგაზაფხულო თესვის კამპანიაში.

პრაქტიკული ღონისძიებანი

1. აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად კონფერენცია აყენებს შემდეგ ამოცანებს:

2. დაუყონებლივ მოგვარდეს ადგილებზე, როგორც რემედასის წევრთა, ისე უჯრედების ყოველდღიურ მუშაობისა და მიღწევა-ნაკლოვანებათა აღნუსხვა რემედასის წევრთა რაოდენობის გადიდების და მუშაობის მოსაწესრიგებლად.

3. გაძლიერებული ცოცხალი კავშირი იქნეს გაბმული ადგილებთან, ამ მიზნით ხშირად უნდა ხდებოდეს ყოველმხრივი გამოკვლევები ადგილობრივ ორგანიზაციებისა, რომელიც უნდა მოხსენდეს რემედასის საქ. ცეკას განსახილველად და სათანადო პრაქტიკული ღონისძიებათა მისაცემათ.

4. რემედასის ცეკას მიერ მიღებული იქნეს უსასტიკესი ზომები რემედასის თანხების დაბანდების, გასესხების,

პიონერები პირველ მაისის დემონსტრაციაზე ვენაში (ავსტრია)

არა პირდაპირი გზით ხარჯვის თავიდან ასაცილებლად და საწევრო ანარიცხების დროულად ასაკრეფად. ამის შესახებ იდგილებისადმი მიცემული დირექტივების შეუსრულებლობის და დარღვევისათვის შემჩნეულ პირთა პასუხისგებაში მიცემით, ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ საშუალებათ ჩაითვალოს ძირითად ორგანიზაცია-უჯრედების მთლიან ინკასაციაზე გადაყვანა.

5. ინკასაციის გატარებით ჩვენ მივაღწევთ თანხების სწრაფ დენას ცენტრისაკენ. ა) მის დაგროვებას სახელმწიფო სალაროში—დაწესებულ პროცენტების დარიცხვით რემედასის სასარგებლოთ. ბ) აცილებული იქნება ზედმეტი ხარჯები საოლქო და სამაზრო კომიტეტებში. გ) შედეგათ უნდა მოჰყვეს ქმემდგომ ორგანიზაციების ტეხ. მომუშავეთა ფინ. ტეხნიკურ და ოგრ. საკითხებისაგან განტვირთვა. დ) მეტი საშვალება მიეცემა ქვემ დგომ ორგანიზაციებს უშუალოდ გაძლიერებული ყურადღება მიაქციონ მათი მოვალეობის და ფუნქციების შესრულებას. მაგალითად: პროპაგანდა-აგიტაციას და საერთოდ ხელმძღვანელობის უკეთ დაყენებას უჯრედებში.

6. გაძლიერებული იქნეს რაიონებში საშეფო მუშაობა, ერთის მხრივ საზღვარგარეთის – საშეფო ციხეებთან დამოკიდებულების გაცხოველებით, მიწერ-მოწერის წარმოებით. სადაც გაშუქებული იქნეს საკ. რესპ. ყველა მიღწევები, ხოლო მეორეს მხრივ—კი გამოყენებული იქნეს, როგორც მშრომელი მოსახლეობის ინტერნაციონალურ აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებათ საზღვარგარეთიდან მიღებული წერილები.

7. ამასთანავე დაკავშირებით რემედასის ქალაქის უჯრედებმა გააძლიერონ შეფობა სოფლის უჯრედებზე და გაალრმაონ სოც. შეჯიბრი უჯრედთა შორის, ჩამოაყალიბონ რემედასის დამკვრელი ბრიგადები. გაძლიერონ მუშაობა, პრ. აგიტ. საშუალებით გლეხობის ფართე მასების შესაკავშირებლად სას. საბეურნ. არტელებში, კომუნებსა და სხვა.

8. რემედასის რედაქციამ ყოველმხრივ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს რემკორების დარაზმვას ადგილებზე, თვითკრიტიკის განვითარებას, რისთვისაც პირველად მოიწვიოს რემედასის მკითხველების და კორესპოდენტების თათბირი სათანადო მითითებათა მიცემის მიზნით და სხვა.

9. დააკვრითი წესით ჩატარდეს რესპუბლიკის მასშტაბით პოლიტ-ემიგრანტების აღრიცხვა და იმათი სათანადოთ გამოყენება რემედასის ყოველდღიურ, პრაქტიკულ მუშაობაში.

10. რემედასის საქ. ცეკას მიერ მიღებული იქნეს გადამწყვეტი ზომები ლიტერატურისა და საწევრო ანარიცხების დავალიანებათა სრული ლიკვიდაციისათვის.

11. მიღებული იქნეს ზომები ადგილებზე სარევიზიო კომისიების მუშობის გამოსაცოცხლებლად, თვითკრიტიკის მეთოდების გამოყენებით, დამნაშავეთა დაუზოგველად პრესაში გამოქვეყნებით, ბრიგადების გალაშქრებით დაუდევრობათა გამოსამჟღავნებლად სპეციალურ თათბირების მოწვევით და სხვა.



პირველი მაისი პარიზში. სურათზე—საომარი სამხადისი იტალურ ბაღში

12. რემედასის წევრთა კულტურულ პოლიტიკური დონის აწევისა და ძირითად უჯრედების შემადგენლობიდან აქტივთა კადრების შექმნის მიზნით აუცილებელ იქნეს ცნობილი რემედასის მკითხველთა კონფერენციების პერიოდულათ მოწვევა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ერთის მხრივ რემედასის იდეის პოპულიარიზაციას მასაში და მეორეს მხრივ—კი რემედასის ლიტერატურის მეტი რაოდენობით გავრცელებას მშრომელ მოსახლეობაში.

13. რედასის ლიტერატურის მასაში ფართოდ გასავრცელებლად და რემდასის აქტივის თვითმოქმედების გასაძლიერებლად რემედასის პერიოდულ და არაპერიოდულ ლიტერატურის გავრცელება დაევალოს უჯრედის აქტივს. ამ მუშაობისათვის არავითარი გასამრჯელო არ იქნეს გაღებული კერძო პირთა სასარგებლოთ, ხოლო რემედასის საქ. ცეკას გამომც. მიერ დაწესებული 10 % ლიტერატ. გავრცელებისათვის მთლიანად უნდა ხმარდებოდეს უჯრედის მიზნებს (კუთხეების მოწყობას, პლაკატების შეძენას და სხვ.)

14. ცენტრ. და აგილებთან ურთიერთ დამოკიდების გაუმჯობესების მიზნით სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს რემედასის ქვემდგომ ორგანიზაციებში ბიუროკრატობასა და საქმის გაჭიანურებას.

15. მიღებულ იქნას სათსნადო ღონისძიებანი რემედასის საქ. ც. კ. საშუალებით, რათა გაძლიერებული იქნეს ადგილებზე: პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირის ორგანიზაციების მიერ ხელმძღვანელობა რემედასის ორგანიზაციებზე იდეურ—ორგანიზაციული ხაზით, რასაც დღემდე სრულიად არ ჰქონია ადგილი მთელ რიგ ორგანიზაციებში.

16. გამოყენებული იქნეს კინო და რადიო, როგორც მასიურ-კულტურული და აგიტაციის საუკეთესო საშუალებანი.

17. თანახმად პარტიისა და რემედასის საქ. ც. კ. მიერ ქვემდგომ ორგანიზაცია—უჯრედებისადმი მიცემული მითითებებისა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში მონაწილეობის შესახებ ადგილებზე ჩატარებული იქნეს სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა რემედასელების სრული 100 პროცენტით ჩასაბმელად ამ კომპანიაში.

რემედასის აქტივის თათბირი

(ქ. თბილისი, ლენრაიკომი *)

მიმდინარე წლის აპრილის 24-ს შესდგა ლენრაიკომის რემედასის აქტივის გაფართოებული თათბირი, სადაც დაესწრენ უჯრედის ბიუროების თავმჯდომარეები, და სხვა. თათბირს დაესწრო აგრეთვე რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **დავით ნასარიძე.**

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) რკინის გზის 10 პოლკთან არსებული რემედასის ბიუროკოლექტივის მოხსენება. 2) თანრების ინკასაცია ფოსტის საშვალებით საწევრო გადასახადის ახალი განაკვეთი. 3)

სიკვდილით დასჯა კომპარტიის წევრობისათვის ჩინეთში

წევრთა აღრიცხვის სწორად დაყენება, 4) რემედასის მკითხველთა კონფერენციის მოწვევა, 5) რემედასის ბრიგადელთა მოხსენება, 6) 1-ლი მაისის დღესასწაულის ჩატარება, 7) ტრაქტორის შეძენა საშეფო სოფლისათვის.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. **ბაბაინი.** როგორც გამოირკვა რკ. გზის 10 პოლკში რემედასის უჯრედი დაუარსებიათ 1928 წ. საანგარიშო ხნის განმავლობაში უჯრედი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა მოსამსახურეთა შორის. დღეს დღეობით მთელი შემადგენლობის 25 პროც. გაერთიანებულია რემედასის უჯრედში. პოლკის მასშტაბით არსებობს შვიდი უჯრედი. უჯრედებში ინტერნაციონალური მუშაობა სათანადო დონეზეა დაყენებული.

ამხ. **ბაბიანის** ინფორმაციული მოხსენების შემდეგ, რემედასის თანხების ფოსტის საშვალებით ინკასაციის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოდის ამხ. **დ. ნასარიძე.** რომელიც აღინიშნავს ინკასაციის დაკვრითი წესით ცხოვრებაში გატარების აუცილებლობას, რამაც უნდა მოსპოს რემედასის თანხის ფთავბოლო ფლანგვა ადგილებზე. ამ თანხების ერთი ინსტანციიდან-მეორემდე სეირნობა და ადგილებზე მომუშავე, ტექნიკურ-მდივნების დატვირთვა.

რომხსენებელი ნათლად განმარტავს იმ გარემოებას, რომ ინკასაციის გატარების შემდეგ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს გაცილებით უფრო მეტი საშვალება მიეცემათ ყურადღება მიაქცინონ რემედასის წევრთა ინტერნაციონალურად აღზრდას და მის რიგებში მშრომელთა ახალი კადრების ჩაბმას.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ინფორმაციული მოხსენება ახალი საბარათო სისტემის შემოღების შესახებ, რამაც უნდა განამტკიცოს და გაადვილოს რემედასის წევრთა აღრიცხვის სწორად დაყენების საქმე. თათბირმა იქონია რა მსჯელობა ყველა ზემოაღნიშნულ საკითხებზე ერთხმად დაადგინა: **აღნიშნული ღონისძიებანი გატარებულ იქნეს ცხოვრებაში მიმდინარე წლის მაისის პირველიდან.**

თათბირმა მოისმინა აგრეთვე რემედასის მუშა-ბრიგადელთა მოხსენება, რომლიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ უჯრედებში არ სწარმოებს არავითარი პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა და ამხანაგები სათანადო ყურადღებით ვერ ეკცევიან რემედასის მუშაობას. ბრიგადის წევრები მოითხოვენ მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები ნაკლთა გამოსასწორებლად და რემედასის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

დასასრულ ამხანაგ **ვლადიმერ ბზიკაძემ** საშეფო სოფლისათვის ტრაქტორის შესაძენათ შემოიტანა **ერთი მანეთი** და გამოიწვია თათბირის ყველა დელეგატები. იქვე შეგროვდა 20 მანეთი, რაც გადაეცა ლენრაიკომს სათანადო ფონდის შესაქმნელად.

ვ. ბზიკაძე

სახელგამის სტამბის რემედასის უჯრედი

(ქ. თბილისი „26"-ის სახელობის რაიკომი)

სახელგამის სტამბასთან არსებული რემედასის უჯრედი ჩამოყალიბდა 1928 წ. აღნიშნული უჯრედი აერთიანებს 165 წევრს და სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ყავს ცეკავშირის სტამბასთან არსებული რემედასის უჯრედი.

უჯრედი ხშირად იწვევს საერთო კრებას, სადაც მოხსენებით გამოდიან რაიკომის წარმომადგენლები. ჩვენ ადგილობრივი ძალებით სწარმოებს მოხსენება საუბრები საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის, რემედასის მნიშვნელობისა და ინტერნაციონალურად აღზრდის მეთოდების შესახებ. კრებას სისტემატიურად ესწრება წევრთა უმრავლესობა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს უჯრედის მიერ წამოყენებულ ამოცანების განხორციელებაში.

უჯრედის მიერ მუშა-მოსამსახურეთა შორის, მათი ჯამაგირის მიხედვით შეგროვილი იქნა ერთი პროცენტი:

*) რედაქციისაგან დამოკიდებული მიზეზების გამო წერილი დაგვიანებით იბეჭდება. რედ.

რაც მთლიანად გადაიგზავნა ქილავის (პოლონეთშია) საპყრობილეში მოქცეულ პოლიტ-პატიმართ სასარგებ-ლოთ.

ასოთ-ამწყობებმა თავიანთი საშუალებით მოაწყვეს რემედასის კუთხე და სამკითხველო, სადაც მრავლად მოიპოვება საერთო პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა და რემედასის გამოცემები ქართულ-რუსულ ენაზე.

დასვენების დროს სწარმოებს ხმამაღალი კითხვა და ბაასი ყოველდღიურ საჭირ-ბოროტო საკითხებზე რემედასის მუშაობის ირგვლივ. დღესასწაულების ჩატარების დროს ადგილობრივად ეწყობა მოხსენება საუბრები, კინო-სურათების ჩვენება და სხვა. უჯრედს მიზნათ დასახული აქვს მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრები სრული 100 პროც. ჩაბას რემედასის რიგებში. ამ საკითხის შესახებ ჩატარებულ მოხსენებას ალფრთოვანებით შეეგებენ ადგილობრივი ამხანაგები. ყოველივე ეს მაინც არ კმარა, საჭიროა უფრო მეტი ენერგიული მუშაობა, რათა რემედასის მუშაობა მკვიდრ დონეზე იქნეს დაყენებული და წევრთა შორის ენერგიულად იქნეს წარმოებული ინტერნაციონალურად აღზრდა. ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს რაიკომმა, რომელიც ხშირად უყურადღებობას იჩენს ადგილების მიმართ.

შალვა ესებუა.

გავაძლიეროთ მასების ინტერნაციონალურად აღზრდა

(ქ. ტფილისი, „26"-ის სახელობის რაიკომი)

რემედასის მუშაობა რაიონში წარსულთან შედარებით გამოცოცხლებულია. ამჟამად რაიკომის მასშტაბით ირიცხება 98 უჯრედი, რომელშიაც გაერთიანებულია, 14.805 წევრი, ამაში არ შედიან 25 სხვა უჯრედები რომლებმაც მიუხედავათ ჩვენი არა ერთხელ კატეგორიული მოთხოვნილებისა ჯერ არ წარმოადგინეს სრული ანგარიში თავიანთი მუშაობის შესახებ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს უჯრედები რაიკომის მოწოდებებს ვერ ეპყრობიან სათანადო პასუხისმგებლობით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ქ. ტფილისის სასაკლაოსთან არსებული რემედასის უჯრედი რომელმაც რემედასის სასარგებლოთ მოაწყო საღამო 1929 წ. ნოემბერში.

უჯრედის ხელმძღვანელებს საღამოდან შემოსული თანხა რაიკომის სალაროში უნდა გადმოეგზავნათ, მაგრამ დღემდის ეს არ შეუსრულებიათ. რაიკომის ყოფილი ხელმძღვანელის ამ. ქეთაველიძის სიტყვით საღამოს შემოსავალი უდრიდა 150 მ., მაგრამ როგორც ირკვევა აღმოჩნდა მხოლოდ 70 მან, და ისიც არ ვიცით ვის ხელშია, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნე უჯრედის მდივანი არ აგზავნის ამ ფულს რაიკომში.

ეხლა ვნახოთ, თუ რა კეთდება ქალაქის პირველ საავადმყოფოს უჯრედში. მუხედავათ იმისა, რომ უჯ-ედი არსებობს 1924 წ. და მის ხელმძღვანელად ითვლება რაიკომის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. არაზაშვილი, მაინც ვერ გამოსწორდა უჯრედის მუშაობა. ყველაზე უფრო ამაშფოთებლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ორგანიზაციის მუშაობა სრულიად უყურადღებოთაა დატოვებული.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ თვით არაზაშვილი მეტად გულგრილობას იჩენს რემედასამდი, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

სხვა მრავალ ნაკლთა შორის უნდა აღვნიშნოთ ლიტერატურის საკითხის მოუგვარებლობა; მაგალითად რაიკომის მაშტაბით ვრცელდება სულ 50—60 ცალი ჟურნალ. „რემედას" და 100 „პუტ მოპრა". ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს უჯრედის აქტივმა.

ვ. ლეჟავა.

რემედასის უჯრედი

(ქ. ტფილისი „26"-ის სახელობის რაიკომი)

ამჟამად სარეწაო კოოპერაციასთან არსებული რემედასის უჯრედი აერთიანებს 4.700 წევრს. უჯრედის წევრთა შორის სწარმოებს ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობა. ტარდება საუბრები და მოხსენებები რემედასის მნიშვნელობისა და ამოცანეობის შესახებ.

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დადგენილების თანახმად სამი თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა რემედასის სასარგებლოდ ნებაყოფლობით პროცენტული ანარიცხების დაკავება ჯამაგირის რაოდენობის მიხედვით. რემედასის ფონდის გასადიდებლად. კოლექტივის შემადგენლობაში შედის ათი სხვა და სხვა უჯრედი, რომლებიც მუშაობას ასრულებენ 80 პროც. უჯრედთა შორის სწარმოებს გამოწვევები სოცშეჯიბრში. მოწყობილია ათიოდე საჩვენებელი კუთხე, სადაც სპეციალურად გამოდის კედლის გაზეთი **„კაპიტალის პატიმართა ხმა"**. უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავათ წევრთა დიდი რაოდენობისა—ბიურო ავრცელებს 100 ცალ ჟურნალ „პუტ მოპრა"ს. *)

ბიურომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში რაიკომის სალაროში გადაგზავნა 1879—მანეთი 46 კაპ. საერთოთ უნდა ითქვას, რომ პარტიულ და კომკავშირულ უჯრედების ხელმძღვანელობა ძალზე მოისუსტებს. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ის დროზე უნდა იქნეს გამოსწორებული.

ველიჩკო.

*) ხელი უნდა შეეწყოს ჟურ „რემედას"-ის გავრცელებასაც. რედ.

ნაყოფიერად ვმუშაობთ

(სოფელ ხუნწი, სენაკის მაზრა)

სოფელ ხუნწში ჩამოყალიბებულია რემედასის სამი უჯრედი: სასოფლო-სამეურნეო არტელებთან, რომელშიაც ამჟამათ გაერთიანებულია 270 წევრი.

ჩვენი ჟურ. მეგობარი ამხ. ს. მერაბიშვილი (ტფილისის მთავ. სახელოსნო).

უჯრედში ჩაბმულია კომკავშირის და პარტიული კომიტეტის შემადგენლობა მთელი 100 პროცენტით.

ადგილობრივ პარტ-კომკავშირული ორგანიზაცია აქტიურ დახმარებას უწევს რემედასის მუშაობას. უჯრედიდან გამოყოფილია სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფები, მაგალითად: საზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელი, კოლმეურნეობათა მშენებლობის ხელისშემწყობი, წერაკითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი, რემედასის ლიტერატურის გამვრცელებელი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საინიციატივო ჯგუფებს დიდი მიღწევები აქვთ თავიანთ მუშაობაში. წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი წრის ხელმძღვანელობით 24 კაცმა შეისწავლა წერაკითხვა. თემის მასშტაბით, გავრცელებულია 40 ცალი ჟურნალი „რემედას“.

აქვე უნდა აღინიშნოს სოფელ ხუნწის რემედასის სათემო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კირილე ხეროძეს ენერგიული მუშაობა, რომლის დაულალავი და ენერგიული მუყაითობით გამოსწორებულ იქნა შემჩნეული დეფექტები. ამჟამათ უჯრედი ამუშავებს მიწას, დათესილია ორი ჰექტარი სიმინდი, რომლის შემოსავალი მთლიანად მოხმარდება რემედა ის ფონდს.

რემედასის თემ. კომიტეტის ხელის შეწყობით მოსახლეობაში ვრცელდება 45—ცალი გაზეთ „სოფლის კოლექტივიზაცია“. თემკომს ფართედ აქვს გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრის მეთოდებიც საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებას მიზნით. გარდა საინიციატივო ჯგუფისა გამოყოფილია რემედასის ბრიგადები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციას. სათემო კომიტეტს მოწყობილი აქვს რემედასის კუთხე, სადაც მოიპოვება რემედასის ყველა გამოცემები და პლაკატები. რემედასის კომიტეტი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკურ ხასიათის სხვადასხვა კამპანიებისა და დღესასწაულის ჩატარებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, მიმდინარე წელს სათემო კომიტეტის მონაწილეობა პირველ მაისის დღესასწაულში. რემედასის სათემო კომიტეტს გადადგმული აქვს სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები მოსახლეობის სრული 100 პროც. დასარაზმავათ რემედასის რიგებში.

შალვა გაბელავ.

რემედასის უჯრედი სუსტად მუშაობს

(ქ. სამტრედია, ქუთაისის ოლქი)

ქალაქ სამტრედიის აბრეშუმის ძაფის საღებავ ფაბრიკაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 520-მდე აღწევს. სხვა ორგანიზაციებთან ერთად არსებობს რემედასის უჯრედიც, რომლის თავმჯდომარეთ და ხელმძღვანელათ ითვლება ამხ. იასონ ხუჰუა. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული უჯრედი სუსტად მუშაობს. უჯრედის ბიურო ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას მუშაობას. მუშა-მოსამსახურეთა ძალიან მცირე ნაწილი არის ჩაბმული რემედასის მუშაობაში, რაც სჩანს იმ ფაქტიდან, რომ აღნიშნული 580 მუშა-მოსამსახურედან მხოლოდ 100—კაცია რემედასის რიგებში ჩაბმული.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უჯრედს ჯერ კიდევ არა აქვს შემუშავებული სამუშაო გეგმა. უჯრედი არ ატარებს არავითარ პოლიტიკურ და აღმზრდელობით მუშაობას წევრთა და არა წევრთა შორის. უჯრედი ძალიან სუსტად ავრცელებს რემედასის ლიტერატურას, კერძოთ კი ჟურნალ „რემედას“, რაც ჩვენის აზრით ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

არ ტარდება თავისუფალი, ნებაყოფლობითი შემოწირულებანი უცხოელ—პოლიტ-პატიმართა სასარგებლოთ. უჯრედი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობაში და სხვა.

საჭიროა უჯრედმა აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას ეხლავე მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და აღნიშნული დეფექტები ერთხელ და სამუდამოთ გამოსწორებული იქნეს.

დღეს, არავის არ ეპატიება რამედასის ორგანიზაციის მუშაობისადმი გულგრილად მოპყრობა. ჩვენი ფაბრიკა ქარხნების მუშა-მოსამსახურეები სრული 100 პროც. უნდა იქნენ გაერთიანებულნი რემედასის რიგებში, რათა მათ მიიღონ პოლიტიკური თვითგანვითარება და ინტერნაციონალური აღზრდა.

სამტრედიელი.

რემედასის უჯრედი

(ქალ. თელავი, კახეთის ოლქი)

ქალაქ თელავის 10 წლედთან არსებულ რემედასის უჯრედი აერთიანებს 270 წევრს. სისტემატიურად ტარდება კრებები, სადაც შუქდება საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა და მასთან დაკავშირებით რემედასის ამოცანები.

ჩვენი ჟურნალის მეგობარი, ამხ. ივ. კაპანაძე (ტფილისი)

მოწაფეობა ხალისით და ენტუზიაზმით ეპყრობა რემედასის მუშაობას დღემდის წევრთა შორის გავრცელებულია ჟურნალ „რემდასის“ 250 ცალი. ამავე დროს მოწაფეების საშუალებით ტარდება ჟურნალის ხელზე გაყიდვა.

მოწყობილია ადგილობრივად რემედასის კუთხე, რომელიც აწარმოებს სათანადო მუშაობას წევრთა შორის. მიმდინარე წელს მოეწყო ორი ფასიანი საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი 67 მანეთი, გადაეგზავნა უცხოეთის პოლიტ-პატიმრებს ოლქკომის საშუალებით.

უჯრედი ჯეროვან ყურადღებას აქცევს სოციალისტურ შეჯიბრის გაშლა-გაფართოებას. მიუხედავად ყოველივე ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ რემედასის მუშაობას ნაკლი არ ახასიათებდეს, არის თვალსაჩინო დეფექტები მუშაობაში რომლის გამოსწორებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და დავაყენოთ რემედასის მუშაობა თავის სიმაღლეზე.

ამ მხრივ მოწაფეებს უდიდეს დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ ზაფხულის პერიოდში, როცა ისინი არდადეგების დროს სოფლად დაიფანტებიან. მოწაფეობამ გაასკეცებული ენერგიით ხელი უნდა შეუწყოს რემედასის მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას სოფლად მათ უნდა მისცენ ახსნა განმარტება გლეხს, მშრომელ გლეხ-ქალს, მოჯამაგირეებს და სოფლის მეურნე-ახალგაზრდობას რემედასის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მოწაფეობა ვალდებულია ხელი შეუწყოს აგრეთვე მშრომელთა ფართე მასების ინტერნაციონალურად აღზრდას რემედასის საშუალებით.

ეს ამოცანები მიზნათ უნდა დაისახოს ყოველმა მოწაფემ ზაფხულის განმავლობაში.

ტ. ესიტაშვილი.

ნაყოფიერად ვმუშაობთ

(ქ. ბათომი, პარტიული სკოლა)

აჭარისტანის პარტსკოლაში რემედასის უჯრედი ჩამოყალიბდა 1926 წ. პირველ ხანებში მუშაობა ძალზე მოიკუსტებდა. ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნა 1929—30 წ. წ.

სკოლაში მოსწ. 92 კურსელი გაერთიანებულია რემედასის უჯრედში. რემედასის ბიურომ 1929—30 წ. წ. სამოსწავლო წლის განმავლობაში მოიწვია ბიუროს სხდომა 8 ჯერ, ხოლო საერთო კრება კი—7-ჯერ. ბიუროს სხდომაზე გაირჩა 22 საკითხი, საერთო კრებაზე კი—20.

უჯრედს სოც. შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს აჭარისტანის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმთან არსებული რემედასის უჯრედი. უჯრედი თავის უმთავრეს ყურადღებას აქცევს წევრთა აქტივობის გაძლიერებას. ამ მიზნით ის ავალებს მათ სხვადასხვა თემებზე მოხსენება-საუბრების ჩატარებას.

მიუხედავათ იმისა, რომ მოწაფეთა 70% ღარიბი და უღარიბესი გლეხების შვილები არიან, უჯრედმა მათ შორის შესძლო 50 მან. შეგროვება. ამ ფულიდან შეძენილ იქნა 15 მან. ობლიგაცია, ამავე მიზნით გამოწვეულ იქნა ხელოსანთა კლუბთან არსებული რემედასის უჯრედი. დანარჩენ 35 მ. კი მოწყობილ იქნა რემედასის კუთხე.

უჯრედი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლად მიმავალ მოწაფეებისადმი სათანადო ახსნა-განმარტებისა და მითითებათა მიცემას გლეხთა შორის რემედასის მუშაობის გასაჩაღებლად.

ბიუროს მიერ ნაჩვენები იქნა კინო სურათი, რომლიდან შემოსული წმინდა მოგება გადაეგზავნა პოლონეთის საპყრობილეში მოქცეულ პოლიტპატიმრებს წერილთან ერთად.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პარტსკოლასთან არსებული რემედასის უჯრედი კიდევ უფრო გააფართოვებს თავის ნაყოფიერ მუშაობას.

ჩვენი ჟურნალის მეგობარი, ამხ. მ. გოზალოვი (ტფილისი)

რემკორი: მ. კალანდაძე.

მუშაობა გამოვაცოცხლეთ

(ქ. სოხუმი, აფხაზეთი).

ქ. სოხუმის შვიდწლედთან არსებულ ნორჩ-პიონერთა მეთოთხმეტე კოლექტივში 1928-1929 წ. წ. განმავლობაში რემედასის მუშაობა საგრძნობლათ მოისუ' ტებდა. ამის უმთავრესი მიზეზი იყო სუსტი ხელმძღვანელობა.

1929 წ. დასასრულს ამხ. **ბორის ჩხეიძის** ხელმძღვანელობით არჩეული იქნა ახალი ბიურო შვიდი კაცის შემადგენლობით. ახლად არჩეულმა ბიურომ შეიმუშავა სამთვიური სამუშაო გეგმა. ბიურო სისტემატიურად იწვევს კრებებს. ამრიგათ წარსულ წელთან შედარებით მუშაობა საგრძნობლათ გამოცოცხლდა.

უჯრედში ჩაბმულია მოწაფეობის უდიდესი პროცენტი. უჯრედი ავრცელებს ჟურნალ **რემედასს.** ბიუროს მიერ გამოყოფილია რემედასის ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულათ ამხ **ნინა ქარცივაძე,** რომელიც ნაყოფიერად დ ენერგიულად მუშაობს. ამჟამათ დაკვრითი წესით მიმდინარეობს გასული წლის საწევრო დავალიანების აკრეფა.

ჩვენ სრული დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბიუროს ახალი შემადგენლობა კიდევ უფრო გააცხოველებს თავის მუშაობას და რემედასის უჯრედი ცხოვრებაში გაატარებს ყველა იმ ამოცანებს, რომელსაც ავალებს მას ამ ორგანიზაციის საარსებო ინტერესები.

ვლ. კვიტატიანი.

ავსწიოთ ჟურ. „რემედასის“ ტირაჟი 30.000 ცალამდე

იმ დროს, როდესაც რემედასის წევრთა რაოდენობა საქართველოში 120.000-მდე აღწევს, ჟურნალ „რემედასის“ ტირაჟის 11.000 ცალით განსაზღვრა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამაკმაყოფილებლად. თუ ჩვენ ჟურნალის ტირაჟს შევადარებთ წევრთა რაოდენობას, დავინახავთ, რომ თორმეტ კაცზე — მხოლოდ ერთი ჟურნალი მოდის. უნდა ვეცადოთ გავატაროთ ცხოვრებაში რემედასის საქართველოს ც. კ. გამომცემლობის ლოზუნგი „ყოველ სამ წევრზე ერთი ჟურნალი“.

ამიტომ ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის სასოფლო სამეურნეო არტელთან არსებულ რემედასის უჯრედში ვაგროვებ 200 წლიურ ხელის მომწერს და ჩემის მხრივ ვიწვევ რემედასის ყველა უჯრედების მდივნებს, თავმჯდომარეებს, აქტიურ წრეებს, რემედასის ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზატორებს—განასაკუთრებით კიტფილისიდან 8. 9, 26, 28, 29, 4, 5, 6, 7, 8, 10, 82. 41, 46, 114, 104, 45, 49, 50, 61, 2, 31' 32, 33, 59, შრომის სკოლებთან არსებულ რემედასის უჯრედებს; პროფსკოლას, საცდელ-საჩვენებელ საკრებულო სკოლას და სხვა ტეხნიკუმებს; საგურამოდან სასოფლო-სამეურნეო სკოლას და ტეხნიკუმს; გომიდან—სასოფლო-სამეურნეო სკოლას, გლეხურ ახალგაზრდობის სკოლას, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს; ხონიდან ინდუსტრიალურ ტეხნიკუმს, აბრეშუმის ფაბრიკის უჯრედს და ქალაქის ცენტრალურ უჯრედს; გორიდან სასოფლო-სამეურნეო სკოლის უჯრედს; კულაშიდან სასოფლო-სამეურნეო სკოლას და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს, ტფილისიდან ცხენთსაშენის უჯრედს, საალმშენებლო სკოლას, რკინის გზის სტამბას, რკინის გზის საამართველოს, საქონლის სადგურს, მოძრაობის და დარგს.

რემკორი: ვლადიმერ გზიკაძე.

გამოც. რემედასის საქ. ცენ. კომიტეტი. რედაქტორი: შამშელეკავა.

სტ. ა. ფ. მიასნიკოვის სახ. გამც-ბა „ზ. ვ.“ შეკვ. № 1194 მთავლ. № 824 ტირაჟი 11000

ფასი 20 კაპ.

1 9 3 0

რემედასი

— გამოდვა თვეში ერთჯერ —

(წელიწადში თორმეტი ნომერი)

ყოველ ნომერში თავსდება წერილები და მიმოხილვები: კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში მებრძოლ მუშათა კლასისა და რევოლიუციონური გლეხკაცობის ბრძოლებისა და ცხოვრების შესახებ.

მოგონებები — რევოლიუციონური მოძრაობის მონაწილეთა.

რემედასის ორგანიზაციების და უჯრედების მუშაობის შესახებ ცნობები და სხვ.

ფართე ადგილი ეთმობა ლიტერატურასა და მხატვრობას.

ყოველ ცალკე ნომერში 20 სურათი თავსდება.

ხელის მოწერის პირობები

ერთი წლით	— 2	მან. 20	კაპ.
ცხრა თვით.	— 1	„ 70	„
ექვსი თვით	— 1	„ 15	„
სამი თვით	—	„ 60	„
ერთი თვით	—	„ 20	„

ცალკე ნომერი—20 კაპ.

[redacted]

გამომცემლობისაგან

ის პირნი, რომლებიც ჟურნალს დრეზე ვერ მიიღებენ, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის, ან სხვა რაიმე მიზეზეს გამო ვალდებულნი არიან ამის შესახებ აცნობონ რედაქციას. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომები იქნება მიღებული რემედასის საქართველოს ცეკას გამომცემლობის მიერ.